პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

სამშაბათი
17
ნოემბერი
1936 წ.
№ 266 (4765)

დღეს გაზეთშია

— მოსავლის განაწილება (მოწინავე).
— საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია.
— საქართველოს საბჭოების VIII ყრილობა. — კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო.
— პროფ. ა. შანიძე — ვახტანგის დედანი „ვეფხის ტყაოსნისა" (ფელეტონი).

უცხოეთში:

— მადრიდის თავდაცვის კომიტეტის ცნობა.
— საჰაერო ბრძოლა მადრიდისათვის.
— მეამბოხეთა ზარალი მადრიდის ფრონტზე.
— ესპანელი მეამბოხენი მომწამვლავ ნივთიერებათა გამოყენებას აპირებენ.

მოსავლის განაწილება

მტკიცდებიან და ძლიერდებიან საქართველოს კოლმეურნეობანი. ისინი ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად ხდებიან. შეძლებულ კოლმეურნეობათა რიცხვი დღითიდღე იზრდება.

საკოლმეურნეო წარმოების გამარჯვებამ სახე შეუცვალა სოფელს. წარმოიშვენ სტალინური ეპოქის ახალი ადამიანები, შრომის ენტუზიასტები, სოციალისტური სამშობლოს ერთგული დამცველნი.

ახლა, როდესაც მოსავლის განაწილება მიმდინარეობს, პროდუქტებით უხვად ივსება კოლმეურნეთა ბედნიერი ოჯახები. მრავალ კოლმეურნეობაში შრომადღეზე ღებულობენ 8-13 კილოგრამ ხორბალს, გარდა სხვა პროდუქტებისა, ხოლო წლის ბოლოს, საბოლოო ანგარიშით მთელ რიგ კოლმეურნეობაში შრომადღის ღირებულება 10-15 მანეთი და მეტიც იქნება.

უდიდეს მიღწევებთან ერთად ნაკლოვანებანიც არის. ბევრგან სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება და ამხ. ლავრენტი ბერიას არაერთგზისი მითითებანი მოსავლის სწორად განაწილების საქმეში ზუსტად არ ტარდება, აქაიქ ჯერ კიდევ ამახინჯებენ არტელის სტალინურ წესდებას — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლეს კანონს.

ზოგიერთ რაიონში (მაგ. დუშეთი, ხაშური, კასპი, ბორჩალო) ჭიანურდება მოსავლის განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ ხორბლეული დიდი ხანია აღებულია, სახელმწიფო ვალდებულებები შესრულებულია, ანაზღაურებულია მტს-ის ნატურგადასახდელი და შექმნილია შინა-საკოლმეურნეო ფონდები, — მოსავლის განაწილება მაინც დაუმთავრებელია.

ამ გარემოებას ხშირად იმით ხსნიან, რომ საშემოდგომო თესვის და სხვა სამუშაოთა წარმოების გამო დრო არ დაგვრჩაო. ეს არ არის სწორი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღიკვეთოს სამუშაოთა მორიგეობით შესრულების მავნე პრაქტიკა. სამუშაო დრო ისე უნდა განაწილდეს, რომ მუშაობის არცერთი უბანი არ დარჩეს სათანადო ყურადღების გარეშე.

მთელ რიგ კოლმეურნეობაში მოსავალი ისე განაწილეს, რომ განაწილების გეგმა კოლმეურნეთა საერთო კრებას არ განუხილავს, რითაც უხეშად დაარღვიეს არტელის წესდება, დაარღვიეს საკოლმეურნეო დემოკრატია.

ყვარლის რაიონში, შრომადღის ღირებულების „გადიდების" მიზნით, მოსავალს ანაწილებენ პირველ ნოემბრამდე გამომუშავებულ შრომადღეებზე, ნოემბერსა და დეკემბერში გამომუშავებული შრომადღეების ანაზღაურება კი გადააქვთ მომავალი წლისათვის! განა ეს სწორია?

ბორჩალოს რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოსავალი მთლიანად გაანაწილეს პირველ ოქტომბრამდე გამომუშავებულ შრომადღეებზე, ხოლო წლის ბოლომდე გამომუშავებულ შრომადღეებზე გასანაწილებლად არაფერი დარჩათ. შაუმიანის სახ. კოლმეურნეობაში 43 ტონა სათესლე ფონდიც კი გასცეს შრომადღეებზე. ყოველივე ეს არტელის სტალინური წესდების უხეში დამახინჯებაა.

ბევრგან კოლმეურნეობებში სწორად არ არის გამოყოფილი შინასაკოლმეურნეო ფონდები, ზუსტად არ არის დაცული წესდებაში გათვალისწინებული ნორმები. ზოგჯერ დიდ სიუხვეს იჩენენ სხვადასხვა ფონდების გამოყოფაში, რითაც ხელოვნურად მცირდება შრომადღეთა ღირებულება.

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში (მაგ. ზუგდიდის, სამტრედიის, ჭიათურის) მოსავლის განაწილებისათვის მოსამზადებელი მუშაობა არ არის ფართოდ გაშლილი. კოლმეურნეობებს არ მიეპოვებათ მოსავლის განაწილების ბლანკები. ამ ბლანკების ადგილებზე თავის დროზე გაგზავნისათვის არ ზრუნავენ მტს-ის დირექტორები და მიწგანის გამგეები. ზოგიერთი კოლმეურნეობა კი მოსავლის განაწილების სავარაუდო გეგმას ადგენს, შრომადღის „დაახლოვებითი" ღირებულება გამოჰყავს და მოსავალს მის მიხედვით „ანაწილებს".

მოსავლის და შრომადღეებზე გაცემული პროდუქტების აღრიცხვა ბევრგან მეტისმეტად უწესოდ სწარმოებს. მაგალითად, სტალინირის რაიონის (სამხრეთ-ოსეთი) ს. ბერულას ამხ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში აღებული სიმინდი კონებით დათვალეს, გარჩეული ტაროები არ აუწონიათ, მოსავლის საერთო რაოდენობაზე აქტი არ შეუდგენიათ. შრომადღეზე ვარაუდით გასცეს ორ-ორი კილოგრამი სიმინდი. ახლა კოლმეურნეობამ არ იცის სიმინდის საერთო მოსავალი!

ბრიგადირების დაჯილდოვება-დაჯარიმების წესიც ხშირად ირღვევა. ბრიგადებს აჯილდოვებენ ან აჯარიმებენ ცალკეულ კულტურათა მოსავლის გადიდების ან შემცირების მიხედვით მაშინ, როცა ბრიგადირის და საერთოდ ბრიგადის დაჯილდოვება ან დაჯარიმება უნდა მოხდეს წლის ბოლოს.

ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურებაშიაც არის შეცდომები, ზოგჯერ მათ არ ეძლევათ შრომადღის სრული ღირებულება.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილებაში დაშვებულია სერიოზული შეცდომები.

„ეს დეფექტები გაცილებით ნაკლები იქნებოდა ან ისინი სრულებით არ გვექნებოდა, რომ რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და განსაკუთრებით სამიწათმოქმედო ორგანოებს უკეთესი ხელმძღვანელობა გაეწიათ კოლმეურნეობათა განმტკიცების მუშაობისათვის, გულმოდგინედ და ყოველდღიურად შეემოწმებინათ და მოეწყოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მუხლობრივად შესრულება". ამხ. ლავრენტი ბერიას ეს ბრძნული მითითება განა სიტყვასიტყვით არ შეეხება მოსავლის განაწილებაში დაშვებულ შეცდომებს? დიახ, მთლიანად შეეხება! რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს ნაგრად რომ მოეკიდათ ხელი არტელის სტალინური წესდების მუხლობრივად გატარებისათვის, მოსავლის განაწილებაში ეს ცალკეული დამახინჯებანი არ გვექნებოდა.

რაიონის პარტიულმა ხელმძღვანელობამ, სამიწათმოქმედო ორგანოებმა, კოლმეურნეთა გამგეობებმა, პირველადმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და სარევიზიო კომისიებმა დაუყოვნებლივ უნდა გადახედონ მოსავლის განაწილების გეგმებს, დაუყოვნებლივ გამოასწორონ დეფექტები, დააჩქარონ მოსავლის განაწილება, არ დაუშვან მოსავლის განაწილების გაჭიანურება.

დროა შევიგნოთ, რომ მოსავლის განაწილება არ არის ბუღალტერული საქმე. მოსავლის სწორად განაწილება მეტად სერიოზული პოლიტიკური ამოცანაა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის შედეგებზე და საქართველოს პარტორგანიზაციების ამოცანებზე „საკ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ" საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ, რომლებიც ჩატარდა პარტიის ბელადის — ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით, გვიჩვენეს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია წარმოადგენს ჯანსაღ, მონოლითურ, ბრძოლისუნარიან ორგანიზაციას, რომელიც მტკიცედ არის შემჭიდროვებული პარტიის გენერალური ხაზის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი **სტალინის** გარშემო.

პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის შედეგად საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დასძლიეს ორგანიზაციული უთავბოლობის ელემენტები, წესრიგში მოიყვანეს პარტიული მეურნეობა, ახლებურად მოაწყეს პარტიის წევრთა და კანდიდატთა აღრიცხვა, მიაღწიეს იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, კომუნისტთა ავანგარდულ როლს, ბოლშევიკური დისციპლინის განმტკიცებასა და კომუნისტთა სტალინური სიფხიზლის გაძლიერებას.

პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლამ პარტიული აპარატი გაზარდა პარტიისა და ხალხის ყველა მტრის მიმართ ბოლშევიკური სიმახვილისა და შეურიგებლობის საფუძველზე, ხელი შეუწყო პარტიულ ორგანოთა განმტკიცებას და მათ გაწმენდას უვარგისი, უუნარო ადამიანებისაგან პარტიულ აპარატში პარტიული აქტივის ახალ კადრთა დაწინაურების ხარჯზე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ უდიდესი მუშაობისა, რომელიც საქართველოს პარტორგანიზაციებმა ჩაატარეს იმ მხრივ, რომ გაეწმინდათ თავიანთი რიგები უცხო და მტრული ელემენტებისაგან, პარტდოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის შემდეგ გამომჟღავნებულ იქნენ მთელი რიგი თვალთმაქცები, კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური არამზადები.

კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველთა — ამ საზიზღარ ბურჟუაზიულ რესტავრატორთა, ფაშისტ-ჯაშუშთა და მზვერავთა ტერორისტული და მავნებლური მუშაობის ფაქტები, რომლებიც უკანასკნელ დროს იქნა გამოაშკარავებული, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე მთელი სიმწვავით აყენებენ თვითეული კომუნისტის ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლის შემდგომი უფრო მეტად გაძლიერების ამოცანას.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სთვლის, რომ ახლა, როცა პარტიულ დოკუმენტთა შემოწმება და გამოცვლა დამთავრდა და საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ნებადართულია ახალ წევრთა მიღება პარტიაში, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის დადებით შედეგების ყოველმხრივ განმტკიცება და პარტიის რიგებში ახალ წევრთა მისაღებად მუშაობის ბოლშევიკური ორგანიზაცია.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწონებულ და დამტკიცებულ იქნას საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ ჩატარებული მუშაობა პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლისა და პარტიულ ორგანიზაციათა პარტიული მეურნეობის წესრიგში მოყვანის მხრივ.

2. წინადადება მიეცეთ საქ კ.პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნებს არა უგვიანეს 1936 წლის 1 დეკემბრისა სავსებით დაამთავრონ იმ კომუნისტთა პარტიული დოკუმენტების გამოცვლა, რომლებისთვისაც დღემდეც არ გამოუცვლიათ ძველი ნიმუშის პარტიული დოკუმენტები ახალი ნიმუშის დოკუმენტებზე.

3. პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის დამთავრებასთან დაკავშირებით და „საკ. კ.პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ" საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 29 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, წინადადება მიეცეს საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაიწყონ პარტიის წევრობის კანდიდატთა მიღება და კანდიდატთა გადაყვანა საკ. კ.პ. (ბ) წევრებად.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ საქართველოს კომპარტიის რიგების ხარისხობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესები მოითხოვენ მათგან ბოლომდე შეითვისონ ის გაკვეთილები, რომლებიც პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებიდან და გამოცვლიდან გამომდინარეობენ. „პარტიის რიგების ერთგვარი დანაგვიანება, როგორც ეს პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ დაგვანახვა, იმის შედეგი იყო, რომ ბევრმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაივიწყა პარტიაში ახალ წევრთა შერჩევის ლენინური პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბებულია საკ. კ.პ. (ბ) წესდებაში და რომელიც მოითხოვს, რომ პარტიაში მიღება ხდებოდეს მხოლოდ-დამხოლოდ **ინდივიდუალური წესით**".

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს ყველა პარტიულ ხელმძღვანელს განუხრელად იხელმძღვანელონ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის მიერ საკ. კ.პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების თაობაზე საკ. კ.პ. (ბ) ცკ-ის დადგენილების დამახინჯებათა შესახებ". ამასთან არ დაუშვან არავითარი კამპანიურობა, აჩქარება, ხელაღებითი განურჩეველი მიღება, მკაცრი ინდივიდუალური წესით შეარჩიონ და მიიღონ პარტიაში ჩვენი ქვეყნის მოწინავე, მუშათა კლასის საქმის ნამდვილად ერთგული საუკეთესო ადამიანები, უწინარეს ყოვლისა მუშებისაგან, აგრეთვე გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციისაგან, შემოწმებულნი სოციალიზმისათვის ბრძოლის სხვადასხვა უბანზე.

4. საქ. კ.პ. (ბ) პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა მიღების განცხადებათა განხილვამდე გულდასმით უნდა შეამოწმონ პარტიაში შემსვლელთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და დახასიათებანი და თვითეული ახლად შემსვლელის პარტიის წევრად და კანდიდატად მიღების საკითხის განხილვა ჩაატარონ პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებებზე როგორც პარტიაში მისაღები პირის თანდასწრებით, ისე იმ პირთა თანდასწრებით, რომლებიც მას რეკომენდაციას აძლევენ.

5. პარტიაში მიღება ამხანაგებისა საკ. ა. ლ. კომკავშირიდან აგრეთვე უნდა ხდებოდეს მკაცრი ინდივიდუალური წესით, რის გამო პლენუმი აფრთხილებს პარტიულ ორგანიზაციებს, რომ შეუწყნარებელია პარტიაში კომკავშირელთა მიღების დაკავშირება იმ გარემოებასთან, რომ კომკავშირში იმყოფება ეგრეთწოდებულ ასაკგადაცილებულთა დიდი რაოდენობა.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველდღიური დახმარება გაუწიონ კომკავშირს კომკავშირელთა იდეური დონისა და ბოლშევიკური გამოწრთობის გაძლიერებაში და ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

6. დაევალოს ყველა პარტიულ ორგანიზაციას გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა თანამგრძნობებთან, გააძლიერონ პარტიასთან ახლო მდგომ ადამიანთა, სტახანოველთა, მუშათა და მუშა-ქალთა, კოლმეურნეთა და კოლმეურნე-ქალთა და მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა ჩაბმა თანამგრძნობთა ჯგუფებში.

თანამგრძნობთა ჯგუფებში მიღებისას დაიცვან წესი თანამგრძნობთა ჯგუფში თვითეული მისაღები პირის ინდივიდუალური შერჩევისა, გულმოდგინე შემოწმებისა და პერსონალური დამტკიცებისა პარტკომების მიერ ან რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების ბიუროების მიერ, ყველა თანამგრძნობი ჩააბან პარტიული განათლების სკოლებსა და წრეებში, არავითარ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდნენ ამით და თვითეული თანამგრძნობი მიიზიდონ ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად, შეამოწმონ ისინი პრაქტიკულ მუშაობაში და აღზარდონ მათში ბოლშევიკური ორგანიზებულობისა და დისციპლინის ჩვევები.

7. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სთვლის, რომ პარტიაში მიღების განახლება მრავალგზის ადიდებს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანას.

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი ამაღლების მხრივ პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს:

ა) კომუნისტთა შეტევითი სიფხიზლის ყოველმხრივი გადიდება, პარტიის რიგების სიწმინდის შენარჩუნება და პარტიისა და ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის შემდგომი გაძლიერება;

ბ) თვითეული პარტიული კრების გულმოდგინედ მომზადება და ჩატარება ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლა, კომუნისტთა აქტივობის გადიდება და პარტიული კრებების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, კერძოდ იმ წინადადებათა შესრულების შემოწმება, რომლებიც პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლის დროს რაიკომების მდივნებთან საუბრებში წამოაყენეს კომუნისტებმა;

გ) კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება საწარმოში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყველა კომუნისტის ჩაბმა სტახანოვურ მოძრაობაში, სტახანოვური მოძრაობის მიმართ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაძლიერება. ტექნიკური სწავლების საქმის უკეთ მოწყობა და ამ სწავლებაში ყველა კომუნისტის ჩაბმა ისე, რომ თვითეულმა კომუნისტმა და კომკავშირელმა უახლოეს დროში ჩააბაროს ტექნიკური მინიმუმი ან სახელმწიფო ტექნიკური გამოცდა;

დ) პარტიულ დავალებათა სწორი განაწილება და ყველა კომუნისტის ჩაბმა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, პარტიის თვითეული წევრისა და კანდიდატის მიერ კომუნისტის იმ ვალდებულებათა განუხრელი განხორციელების უზრუნველყოფა, რომლებიც განსაზღვრულია პარტიის წესდებით;

ე) ერთეულ კომუნისტებთან ქალაქკომთა და რაიკომთა ცოცხალი კავშირის გაუმჯობესება, მათთვის დახმარების გაწევა მუშაობაში და მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში; ერთეულ კომუნისტთა თათბირების რეგულარული მოწვევა პარტიის დირექტივებისა და პარტიული ორგანიზაციის მორიგ ამოცანათა განსახილველად;

ვ) მკაცრად დაცვა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციისა საკ. კ.პ. (ბ) წევრთა და კანდიდატთა აღრიცხვის შესახებ და საოლქო კომიტეტთა, ქალაქკომთა, რაიკომთა და პირველად პარტიულ ორგანიზაციათა პარტიული მეურნეობის სანიმუშოდ დაყენება.

8. პარტიის წევრთა და კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების უფრო უკეთესად მოწყობის მიზნით:

ა) უზრუნველჰყონ პარტიული სკოლებისა და წრეების სწორად დაკომპლექტება კომუნისტთა ცოდნისა და პოლიტიკური მომზადების დონის შესაბამისად.

ბ) ბოლომდე აღმოფხვრან სეზონურობის ელემენტები პარტიულ პროპაგანდაში, უფრო მაღლა აწიონ პარტსწავლების იდეური დონე და სიმტკიცე, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პოლიტიკურად მტკიცე და თეორიულად მომზადებული პროპაგანდისტების შერჩევას; უზრუნველჰყონ, რათა პარტკომებისა და რაიკომების მდივნებმა სისტემატური ინსტრუქტაჟი და დახმარება გაუწიონ პროპაგანდისტებს და ისე მოაწყონ პროპსემინარების მუშაობა, რომ ნამდვილად გაუწიონ დახმარება პროპაგანდისტებს მათი თეორიული დონის ამაღლების საქმეში;

გ) მოაწყონ კომუნისტთა მიერ უფრო ღრმად შესწავლა პარტიის ისტორიისა ლენინის, სტალინის ნაწარმოებებით და ამხ. ლ. ბერიას წიგნით „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", უფრო ფართოდ გაშალონ პარტიის პროგრამისა და წესდების შესწავლა და ყველა სკოლისა და წრის მეცადინეობათა მსვლელობაში აუცილებლად ჩაატარონ საუბრები წრეების წევრებთან პარტიის პოლიტიკის და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, ამასთან განუმარტონ წრეების წევრებს მათთვის ბუნდოვანი ან მათთვის საინტერესო საკითხები;

დ) ისე მოაწყონ მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის, რომ უახლოეს დროში სავსებით მოახდინონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია კომუნისტებს შორის და უკეთ მოაწყონ პარტიის წევრთა და კანდიდატთა შორის მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სპეციალური სკოლების მუშაობა.

9. დაევალოთ საოლქო საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს განაგრძონ იმ ახალი რეზერვის შესწავლა, რომელიც გამოვლინებულ იქნა პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის პროცესში, უფრო აქტიურად ჩააბან ამხანაგები კადრების რეზერვიდან პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში, ამასთან მისცენ მათ ცალკეული დავალებანი და აღზარდონ ისინი პრაქტიკულ მუშაობაზე.

საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნები პირადად უნდა ხელმძღვანელობდნენ კადრების რეზერვის აღზრდას და ყოველდღიურ დახმარებას უნდა უწევდნენ მათ მუშაობასა და სწავლაში.

დაევალოს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შეიმუშაოს ღონისძიებანი პარტიული კადრების, განსაკუთრებით პირველადი პარტიული ორგანიზაციების კადრების (პარტკომთა მდივნები და პარტორგები) მომზადებისა და გადამზადების საქმის ყოველმხრივ გასაძლიერებლად და გასაუმჯობესებლად.

10. იმის გამო, რომ პარტიულ დოკუმენტთა გამოცვლამ გამოაშკარავა მუშაობის სუსტად დაყენება ყვარლის, ოჩემჩირის და ტფილისის რაიპარტორგანიზაციებში, დაევალოს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გულდასმით შეამოწმოს ამ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის მდგომარეობა და განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებანი ამ რაიონებში ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის განმტკიცებისა და ამაღლებისათვის.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სიტყვას აძლევს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს — დიდ **სტალინს**, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, **ლენინ-სტალინის** საქმის უსაზღვროდ ერთგული, გაითვალისწინებს რა პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებიდან და გამოცვლიდან გამომდინარე ყველა გაკვეთილს, კიდევ უფრო გააძლიერებს ბოლშევიკურ შეტევითს სიფხიზლეს. საქართველოს კომპარტია, რომელსაც მაღლა უჭირავს ლენინურ-სტალინური პარტიის უძლეველი დროშა და რომელიც ზრდის თვითეულ კომუნისტს სტალინური შეურიგებლობის, სიფხიზლისა და რკინის დისციპლინის საფუძველზე, შეუბრალებლად ანადგურებს პარტიისა და ხალხის ყველა მტერს, ფაშისტ ჯაშუშ-დივერსანტ-ტერორისტ-კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველებს, ბოლშევიკურად აწყობს პარტიაში ახალი მიღების უმნიშვნელოვანეს საქმეს, კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებს შინაპარტიულ დემოკრატიას და თვითკრიტიკას, — მიაღწევს საქართველოს კომუნისტთა და ყველა მშრომელის კიდევ უფრო მეტ შემჭიდროვებას პარტიის გენერალური ხაზის გარშემო საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ხალხის საყვარელი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** გარშემო (საქტის).

კოლმეურნეთათვის ცხვრების მიყიდვა

მოსკოვი, 15 ნოემბერი. (საქტის) სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა დაავალეს სსრკ მიწსახკომს შეღავათიანი პირობებით მიჰყიდონ წელს კოლმეურნეებს მეცხვარეობის საკოლმეურნეო ფერმებიდან პირადი სარგებლობისათვის 3 მილიონი ცხვარი.

ამა წლის სამი კვარტალის განმავლობაში მეცხვარეობის საკოლმეურნეო ფერმებმა მიჰყიდეს კოლმეურნეებს 1.344 ათასი ცხვარი — სახელმწიფო გეგმის 45 პროცენტი. მრავალი მხარე, ოლქები და რესპუბლიკები წარმატებით ასრულებენ სტალინურ საკოლმეურნეო წესდებას და ეხმარებიან კოლმეურნეებს იყიდონ საკუთარი პირუტყვი.

მაგრამ ზოგი მხარე და ოლქები ჯეროვნად ვერ აფასებენ მეცხვარეობის განვითარებას, უხეიროდ მიჰყავთ კოლმეურნეთათვის ცხვრის მიყიდვის საქმე. ასეთ მხარეებს მიეკუთვნებიან პირველ რიგში აღმოსავლეთ-ციმბირი, სარატოვის მხარე და აზერბეიჯანი.

ჩამორჩენილი მხარეები და ოლქები ვალდებული არიან ისე მოაწყონ კოლმეურნეთათვის ცხვრის მიყიდვა, რომ ეს სამუშაო დაამთავრონ, ვიდრე სიცივეები დადგებოდეს და პირუტყვის საზამთროდ დაბინავებას დაიწყებდნენ.

◇ ◇ ◇

მძრალად ხვნა

მიწსახკომის მარცვლეულის სამმართველოს 10 ნოემბრის ცნობებით

რაიონების დასახელება	მოხნულია ჰექტარობით	გეგმის შესრულება პროცენტობით
ახალქალაქი	6.281	26,8
ბოგდანოვკა	4.303	46,8
ახალციხე	2.858	40,8
ადიგენი	647	25,9
ასპინძა	2.079	83,2
ხაშური	12.536	57
გორი	2.131	13,5
კასპი	1.448	17,4
ბორჯომი	636	82,6
გურჯაანი	1.890	20,2
სიღნაღი	2.758	12,4
თელავი	3.732	33,3
ყვარელი	150	3,7
ლაგოდეხი	1.404	21,3
ტფილისი	410	4,9
ყარაია	315	10,9
ბორჩალო	30	0,5
ლუქსემბურგი	537	16,8
წალკა	2.752	22
დუშეთი	294	6,8
ალბულაღი	883	14
საგარეჯო	224	2,3
ბაშკიჩეთი	79	1,7
თიანეთი	1.321	28,7
სამხრეთ ოსეთ. ოლქი	5.437	35,3
სულ.	55.185	24,7

მძრალად ხვნის ცნობები ბოგდანოვკის რაიონის პირველი ნოემბრისაა, ხოლო ახალციხის და გურჯაანის რაიონების — 5 ნოემბრისა.

ეს ცნობები მოწმობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები მძრალად ხვნაში ძლიან ჩამორჩნენ, განსაკუთრებით კი — ბაშკიჩეთის, საგარეჯოს, დუშეთის, ტფილისის, ყვარლის, გორის, თელავის და ყარაიას რაიონები.

ბასკთა კომპარტიის ზრდა

მადრიდი, 15 ნოემბერი. (საქტის) გაზეთმა „პოლიტიკამ" მოათავსა საუბარი ბასკთა მთავრობის წევრთან, კომუნისტ ასტიგარაბიასთან. მან აღნიშნა, რომ ბასკთა კომპარტიამ სახალხო მილიციისათვის შეაგროვა 5 ათასი კაცი.

ასტიგარაბიამ აღნიშნა აგრეთვე სწრაფი ზრდა ბასკთა კომპარტიისა, რომელშიაც ახლა ირიცხება 7.600 წევრზე მეტი, მაშინ როცა 1934 წლ. აგვისტოში ითვლებოდა 800 წევრი.

მაროკოელთა უნაყოფო იერიში მთავრობის ჯარებზე

ბარსელონა, 14 ნოემბერი. (საქტის) „სოლიდარიდა ობრერა" იუწყება, რომ მეამბოხეთა ჯარების 60 მაროკოელი თეთრი ბაირაღით მიუახლოვდა მთავრობის ჯარების მოწინავე საგუშაგოებს 15 მეტრის მანძილზე, ხოლო შემდეგ მათ ხელგრანატებით იერიში მიიტანეს რესპუბლიკელებზე. გააფთრებული შეტაკების შემდეგ მაროკოელები მოსპობილ იქნენ.

განსაკუთრებული სიმამაცე

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საქტის) ტალავერიდან მიღებული ცნობით მეამბოხეები იძულებული არიან აღიარონ, რომ მთავრობის ჯარების რიგებში მებრძოლი ქალები განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენენ. ისინი თავგამოდებით იცავდნენ სანგრებს, რომლებზეც მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს. ქალებმა უკან დაიხიეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოჰკლეს 30 მათგანი და მრავალი დაჰჭრეს.

პრესის გამოხმაურება ნაოსნობის შესახებ დადებულ შეთანხმებათა დარღვევაზე გერმანიის მიერ

პარიზი, 15 ნოემბერი. (საქტის) მთელი პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის ტერიტორიაზე არსებულ მდინარეებზე ნაოსნობის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევით გერმანიის მთავრობა ახალ მძიმე ლახვარს სცემს ვერსალის ხელშეკრულებას. პრესა ხაზს უსვამს, რომ ჰიტლერული პოლიტიკა კვლავ „მომხდარი ფაქტის" მეთოდს მისდევს.

„ევრის" სიტყვით, გერმანიის ახალი ნაბიჯი მიმართულია განსაკუთრებით ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ, რომლის საგარეო ვაჭრობაში გერმანიის ნავსადგურები და მდინარეები დიდ როლს თამაშობენ. „ევრის" თქმით, გუშინ გერმანიის პრაღელმა ელჩმა საგარეო საქმეთა მინისტრს გამოუცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიას შორის ელბის, ოდერის და ნავსადგურ ჰამბურგისა და შტეტინის საკითხზე 99 წლით დადებული ხელშეკრულებანი ძალაში რჩებიან. „მაგრამ, — განაგრძობს გაზეთი, — ჩვენ, ფრანგებმა ერთობ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს გერმანიის მიერ მოცემული დაპირებანი და ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიფიქროთ, რომ დღეს იწყება გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საშიში ინციდენტების ახალი ფურცელი.

პრაღა, 15 ნოემბერი. (საქტის) პოლიტიკური წრეების ყურადღების ცენტრშია გერმანიის მთავრობის ცალმხრივი უარი ვერსალის ხელშეკრულების იმ დადგენილებებზე, რომლებიც ეხება ნაოსნობას გერმანიის ტერიტორიაზე არსებულ მდინარეებზე. გერმანიის პრაღელმა ელჩმა ეიზენლორმა გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრ კროფტას გადასცა გერმანიის მთავრობის სათანადო ნოტა, ამასთან ეიზენლორმა განაცხადა, რომ გერმანია-ჩეხოსლოვაკიის 1929 წლის შეთანხმება ჰამბურგისა და შტეტინის ნავსადგურებში ჩეხოსლოვაკიისათვის ცალკეული ზონების დათმობის შესახებ ძალაში რჩება, და დასძინა: ჩემი მთავრობის აზრით, ნაოსნობის მდგომარეობა ელბასა და ოდერზე შემდგომ არ გაუარესდება, ვინაიდან ჩეხოსლოვაკიის გემებისათვის ურთიერთი შეთანხმების დროს უზრუნველყოფილი იქნება ისეთივე პირობები, როგორიც გერმანიის გემებისათვის არსებობსო.

გაზეთები ერთსულოვნად ჰგმობენ მომქმედ ხელშეკრულებათა ცალმხრივი დარღვევის მეთოდს, რომელსაც გერმანიის მთავრობა მიჰმართავს. „გერმანიის მთავრობის ცალმხრივ მოქმედებებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ მომავალში საფრთხე შეუქმნან ჩვენს გზებს, — ხაზს უსვამს „ჩესკე სლოვო" — ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რათა იაფი სატრანსპორტო გზა შევქმნათ დუნაიზე შავი ზღვისაკენ".

◇ ◇ ◇

ფაშისტთა გენერლები ატყუებენ მაროკოელებს

მადრიდი, 15 ნოემბერი. (საქტის) ფაშისტთა გენერლები ატყუებენ მაროკოელებს მათთვის ჯამაგირის მიცემის დროს. „მუნდო ობრეროში" მოთავსებულია იმ ქაღალდის ფულის ფოტო, რომელიც აღმოაჩნდა ტყვედ წამოყვანილ მაროკოელს. ეს არის ჯერ კიდევ 1922 წელს გაუქმებული 5 ათასი მარკის ღირებულების გერმანული ბანკნოტები.

„მუნდო ობრერო" აღნიშნავს, რომ ფაშისტთა გენერლები არ იშურებენ სპირტის სასმელებს მაროკოელებისათვის და იერიშზე მაროკოელნი მუდამ მთვრალნი მიდიან ხოლმე.

◇ ◇ ◇

ანტვერპენის ნავსადგურის მუშები უარს ამბობენ დატვირთონ სამხედრო საჭურველი მეამბოხეთათვის

პარიზი, 15 ნოემბერი (საქტის). ანტვერპენში ნავსადგურის მუშებმა გადაწყვიტეს უარი სთქვან იმ სამხედრო საჭურვლის დატვირთვაზე, რომელსაც ბრანდის ფრანგული სამხედრო ქარხნები ვითომ ლათინური ამერიკის ნავსადგურებში გზავნიან, ხოლო ნამდვილად იგი ესპანელ მეამბოხეთათვის არის დანიშნული.

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე

ბარსელონა, 15 ნოემბერი. (საქტისი). მადრიდის ფრონტების შესახებ სამხედრო სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ მთავრობის ჯარებმა მოიგერიეს მეამბოხეთა ორი იერიში ფრანგულ ხიდთან მდებარე უბნიდან. ის ხაზი, რომელიც მთავრობის ჯარებს უჭირავთ, არსებითად არ შეცვლილა. სამხრეთ უბანზე მთავრობის ჯარებმა წინ წაიწიეს და, არტილერიის და ქვეითა ჯარის დახმარებით, ხელთ იგდეს მტრის პოზიციები სერა დე ლოს ანხელესში.

არაგონის ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ გამოცემულ ცნობაში აღნიშნულია, რომ უესკის რაიონში მეამბოხეებმა საარტილერიო სროლა გააჩაღეს ტარდიენტის უბანზე. მთავრობის არტილერიამ საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწია მეამბოხეებს.

15 ნოემბერს დილით მეამბოხეთა კოლონა, ავიაციისა და არტილერიის დახმარებით, იერიშზე გადმოვიდა მთავრობის ჯარების პოზიციების წინააღმდეგ სიერა დე ალკუბიერაში. მთავრობის ჯარებმა მეამბოხეებს შემოუარეს და ტანკების დახმარებით აიძულეს უწესრიგოდ უკან დაეხიათ და ბრძოლის ველზე დაეტოვებინათ მოკლულთა დიდი რაოდენობა, აგრეთვე საგრძნობი რაოდენობის სამხედრო საჭურველი. ამ უბნის ჩრდილოეთით მეამბოხეებმა გააჩაღეს თოფის ძლიერი სროლა, მაგრამ მთავრობის ჯარებმა მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს.

საქართველოს საბჭოების VIII ყრილობა

კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გარშემო

ამხ. ხალიაპინი

(სტალინის სახელობის ორთქლმავალთა ქარხნის ორდენოსანი სტახანოველი)

— ჩვენ, დიდი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დროშით მოვიპოვეთ ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების უფლება. ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ და ძლიერ ქვეყანაში. ყოველივე ამას უნდა ვუმადლოდეთ მშობლიურ მამას და მასწავლებელს, ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს — დიდ სტალინს.

სტალინური კონსტიტუცია ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი მშვენიერი სოციალისტური სამშობლოს სიდიადეს.

კოლექტივი ჩვენი ქარხნისა, რომელიც ხალხთა დიდი ბელადის, მთელი მშრომელი კაცობრიობის მამისა და მეგობრის — სტალინის სახელს ატარებს, პირობას იძლევა, რომ თუ მტერმა გაბედა და თავს დაესხა ჩვენს სოციალისტურ რესპუბლიკას, მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის სამშობლოს, ჩვენ პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე იარაღით ხელში დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წარმატებებით. მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა შევასუსტოთ სიფხიზლე.

ახლოვდება საბჭოების მე-8 სრულიად-საკავშირო ყრილობა. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება გვიჩვენოს საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშები. ჩვენმა საამქრომ იკისრა ვალდებულება ყრილობის საჩუქრად გეგმის ზევით შეაკეთოს 5 სატვირთო ვაგონი და ავტოგადაბმით მოაწყოს 15 ვაგონი.

ამხ. ჩახვაძე

(ბათუმის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე)

ამხანაგებო! სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რის შედეგებსაც დღეს საქართველოს საბჭოების მე-8 ყრილობაზე ვაჯამებთ, ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი კაცობრიობის უდიდეს ეპოქას გამოხატავს.

სტალინური კონსტიტუციის პროექტი გამომხატველია იმ დიადი მიღწევებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ჩვენს ქვეყანას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უდიდესი მიღწევები აქვს. ეს მიღწევები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამიერკავკასიაში. მეტადრე დიდია ამ რესპუბლიკების წარმატებები უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში. უდიდესი მიღწევები აქვს აჭარასაც.

საქართველო წინათ განადგურებული იყო მენშევიკებისაგან და ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანას წარმოადგენდა. იგი ახლა მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა. მან შექმნა მთელი რიგი წარმოებები — მანქანათმშენებლობა, სამთამადნო წარმოება და სხვ.

წინათ — მეფის და მენშევიკების დროს აჭარის მშრომელი ხალხი დაჩაგრული და უფლებააყრილი იყო. აჭარის მშრომელნი, ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების საფუძველზე ბოლშევიკურად ამტკიცებენ კოლმეურნეობებს, ზრდიან სოციალისტურ მშენებლობას როგორც ქალაქად, ისე სოფლად და აფართოვებენ სოციალისტურ კულტურას.

როცა სტალინური კონსტიტუციის პროექტის პუნქტებს ვიხილავდით, აჭარელმა მშრომელებმა ახალ-ახალი ვალდებულებები აიღეს გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, აჭარის მშრომელებმა ამ გეგმების შესრულებაში უდიდესი მიღწევები მოიპოვეს. განსაკუთრებით დიდი მიღწევები აქვთ აჭარელ ქალებს, რომელნიც პროექტის განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

ნავთის გადამმუშავებელ ქარხანაში და მთელ რიგ სხვა ქარხნებში ზოგიერთმა საამქრომ ორი თვით ადრე შეასრულა საწარმოო გეგმა.

სტალინური კონსტიტუცია უდიდეს ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

○

პროფ. ჯანაშია

— ჩვენ, მეცნიერი მუშაკნი, უსაზღვროდ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ იმ ქვეყანაში, სადაც მეცნიერება შრომის პირველი მოკავშირეა. ჩვენ წილად გვხვდა დიდი ბედნიერება ვმუშაობდეთ იმ ქვეყნის ლაბორატორიებში, სადაც მეცნიერების ნამდვილი ჩირაღდანი ანთია.

თვითეულ ჩვენგანზე — მეცნიერების მუშაკზე, ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელნი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ.

ჩვენ მეცნიერების მუშაკნი, უდიდესი სიხარულით ვღებულობთ აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობთ დიად ეპოქაში, რომლის სახელია სტალინური ეპოქა.

ამხ. რუსუდან ქორდანია

(ორდენოსანი პილოტი ქალი)

— ჩვენ, ქალებს, სსრ კავშირში გვაქვს სრული უფლებები მამაკაცთა თანაბრად. ჩვენ გვაქვს შრომის უფლება, გვაქვს უფლება მონაწილეობა მივიღოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რისთვისაც არცერთ ქალს არ მიუღწევია კაპიტალის ქვეყნებში.

პირადად მე წარმოებას მოუწყვეტლად შევისწავლე და დავეუფლე თვითმფრინავის მართვის ურთულეს თანამედროვე ტექნიკას. პილოტად ჩემი მუშაობის განმავლობაში არ მქონია არცერთი ავარია, გატეხვა, იძულებითი და უხეში ძირსდაშვების შემთხვევები.

მე განსაკუთრებით უნდა გავუსვა ხაზი დიადი კომუნისტური პარტიისა

სა და ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ზრუნვას ადამიანზე. მე დაჯილდოვებული ვარ „წითელი ვარსკვლავის" ორდენით. ეს მაღალი ჯილდო ჩემში იწვევს ენტუზიაზმის ახალ ტალღას, კიდევ უკეთესად მუშაობის სურვილს. რესპუბლიკური ესპანეთის მშრომელი ქალები გმირობის უმაგალითო ნიმუშებს გვიჩვენებენ. საბჭოთა ქალები სამოქალაქო ომის წლებში გმირულად იცავდნენ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ, და საჭიროების შემთხვევაში ისინი, პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე, გამოვლენ დიადი სამშობლოს დასაცავად.

○

ამხ. უსენაშვილი

ამხანაგებო! მე გახლავართ სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტი-ქალი.

წინათ ქალს არ შეეძლო გარეთ გამოსულიყო, მამაკაცთან ერთად გაევლო და ემუშავნა. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. ქალი და კაცი არ განირჩევა. 1929 წლიდან კოლმეურნეობაში ვმუშაობ და შემიძლია ვთქვა, რომ არა თუ მამაკაცის თანაბრად, არამედ ზოგიერთ მამაკაცზე უფრო კარგადაც, სტახანოვურად ვმუშაობ და ამიტომაც კარგ ჯილდოს ვღებულობ.

ამხ. ბერიამ ქალებს მოგვიწოდა, — ტრაქტორისტობა დაგვეწყო. მე ეს ძალიან გამიხარდა. გამოვეხმაურე ამ გამოწვევას და ახლა უკვე ტრაქტორზე ვმუშაობ. ტრაქტორისტობამ ძალიან გააუმჯობესა ჩემი მდგომარეობა — წელს 5 თვეში 600 შრომადღე გავაკეთე.

ორდენოსანი ვ. სავხარაძე

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის შემოქმედიც არის მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ამხანაგი სტალინი, სოციალიზმის ეპოქის უდიდესი დოკუმენტია.

ჭიათურის მაღაროელები და კოლმეურნენი უდიდესი აღფრთოვანებით იხილავდნენ სტალინური კონსტიტუციის პროექტს, შემოჰქონდათ ათობით დამატებანი და წინადადებანი.

როდესაც საბჭოთა საქართველოს წარჩინებულ ადამიანთა დელეგაცია იყო მიღებაზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან კრემლში, მე სიტყვა მივეცი ჩვენს საყვარელ ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენ, ჭიათურის მაღაროელები, ყველა მაღაროს გახდით სტახანოვურად ვადაზე ადრე მივცემდით ჩვენს ქვეყანას 1.400.000 ტონა „შავ ოქროს" — მარგანეცს.

და ჭიათურის მშრომელებმა, შრომის მოწინავე გმირებმა, დამკვრელებმა და სტახანოველებმა ღირსეულად შეასრულეს ეს დაპირება. 4 ნოემბრისათვის ჭიათურის მაღაროებმა 2 თვით ადრე 1936 სტახანოური წლის დამთავრებამდე შეასრულეს ბელადისათვის მიცემული დაპირება. ჩვენ მივეცით ჩვენს სამშობლოს 1.400.000 ტონა მარგანეცი და 4 წელიწადში შევასრულეთ მეორე ხუთწლედის გეგმა.

ამხ. ედიშერაშვილი

ნება მიბოძეთ ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სახელით გადმოგცეთ თქვენ, სრულიად-საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის დელეგატებს, წითელარმიელური მხურვალე სალამი (ტაში).

ჩვენი დიდი სამშობლოს ზრდასთან ერთად, სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად მშენებლობის ყველა დარგში, იზრდება და მტკიცდება ჩვენი ძლიერი, უძლეველი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა მშვიდობიანი შრომის გუშაგი, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის მტკიცე გუშაგი.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებმა უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დარგში. განვლილ სასწავლო წელს ა.-კ. სამხედრო ოლქმა პირველი ადგილი დაიკავა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ყველა ოლქთა შორის საბრძოლო მომზადების მრავალ დარგში. ჩვენი ოლქის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა წელს გამოიჩინეს სასნაიპერო სროლისა და თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის დაუფლების მაღალი ნიმუშები.

წელს ჩატარებული საარმიო სწავლება თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ ვოროშილოვის მიერ შეფასებულ იქნა, როგორც ჩვენი სამხედრო ოლქის დიდი ოპერატიულ-ტაქტიკური გამარჯვება.

სტალინური კონსტიტუცია კიდევ უფრო გაზრდის და განამტკიცებს ჩვენს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, გაზრდის ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ძლიერებას. წითელი არმია ყველაზე ძლიერი, უძლეველი და ტექნიკურად ყველაზე მოწინავე არმიაა მთელს მსოფლიოში.

ჩვენ წელს გამოვუშვით წითელი არმიის ნაწილებისათვის და კერძოდ ნაციონალური ნაწილებისათვის მაღალკვალიფიციურ პოლიტიკურად განვითარებულ მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ახალი კადრები, თავდადებული და უშიშარი მებრძოლნი ლენინურ-სტალინური პარტიის საქმისათვის. სწავლასა და მუშაობაში ჩვენ გვაფრთოვანებდა და ენერგიას გვმატებდა ორდენოსანი საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის დიდი მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია ამხ. ლ. ბერიას ხელმძღვანელობით.

ნება მიბოძეთ, ამხანაგო ლავრენტი, მოგიძღვნათ თქვენ ჩვენი სკოლის სახელით ეს ალბომი, რომელშიაც მოცემულია სკოლის მუშაობა და ცხოვრება (ტაში).

(სტურუა: გაუმარჯოს უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და მის წინამძღოლს ამხ. ვოროშილოვს! (ხანგრძლივი ტაში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

○

პოეტი გიორგი ლეონიძე

— სტალინური კონსტიტუციის პროექტის განხილვამ მშრომელთა მილიონები შეამჭიდროვა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო.

მშრომელთა ფიქრები და გრძნობები კონსტიტუციის პროექტის შესახებ აღსავსეა უსაზღვრო სიყვარულით სოციალისტური სამშობლოსადმი, ხალხთა დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინისადმი.

საბჭოთა საქართველოს მწერლები პირობას იძლევიან შექმნან სოციალიზმის დიადი ეპოქის ღირსი ნაწარმოებები, ასახონ თავის ნაწარმოებებში სოციალიზმის არმიის გმირი მებრძოლნი (ტაში).

მადრიდის თავდაცვის კომიტეტის ცნობა

პარიზი, 15 ნოემბერი (საქ[illegible]) [illegible] პრესას მოჰყავს მადრიდის თავდაცვის კომიტეტის ცნობა, რომელიც 15 ნოემბერს შუადღისას გამოქვეყნდა:

„გუშინდელი დღის განმავლობაში მეამბოხეთა ავიაცია მრავალჯერ შეეცადა მადრიდის ბომბარდირებას. მეამბოხეთა ავიაციამ შეძლო თავს დასხმოდა ატოჩას უბანს ვაგზლის მახლობელ ქუჩებში ჩამოჰყარეს დიდი ფეთქებადი ძალის მრავალი ყუმბარა. მოკლულთა რიცხვი 50 კაცს აღემატება. მრავალია დაჭრილი. ბომბარდირებამ ბევრი ქალი და ბავშვი [illegible] ვაგზალი და [illegible] ბომბარდირებას [illegible] სექტორში [illegible] ტების შემდეგ მეამბოხენი მთელ თავის ძალღონეს მიმართავენ სექტორის ჩრდილო ნაწილისაკენ, რათა დაიჭირონ მდინ. მანსანარესის გადალახვა ფრანგულ ხიდზე. მეამბოხეთა იერიში, რომელსაც 15 ტანკი უწყობდა ხელს, მოგერიებულ იქნა.

დღეს დილითაც მოგერიებულ იქნა მეამბოხეთა მეორე იერიში იმავე პუნქტში".

საჰაერო ბრძოლა მადრიდისათვის

პარიზი, 15 ნოემბერი, 20 საათი მოსკოვის დროით (საქტაგ). როგორც ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება, დღეს დილით მეამბოხეთა 10 ბომბარდმტყორცმა თვითმფრინავმა და 12 გამანადგურებელმა დედაქალაქს ყუმბარა დაუშინეს. ბომბარდირებას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. რესპუბლიკურ გამანადგურებელთა გამოჩენისთანავე საჰაერო ბრძოლა გაჩაღდა. არსებული ცნობებით, ბრძოლის დროს მოსპეს მეამბოხეთა 2 სამმოტორიანი თვითმფრინავი.

როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, წინასწარი გაფართოებული საარტილერიო მომზადების შემდეგ, მეამბოხენი შეეცადნენ ხელთ ეგდოთ ფრანგული ხიდი, რისთვისაც იერიში მიიტანინეს უცხოელთა ლეგიონსა და მაროკოელებს. მთავრობის ჯარების ნაწილებმა ჯერ თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს უკან იხევდნენ, მაგრამ შემდეგ შემოვლითი მოძრაობით აიძულეს მეამბოხენი სასწრაფოდ უკან დაეხიათ. მეამბოხეთა სამი ტანკი მთავრობის ჯარებს ჩაუვარდა ხელში.

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საქტაგ) მადრიდის რადიოსადგურის ცნობით, გუშინ მადრიდზე საჰაერო თავდასხმის დროს მეამბოხეთა 2 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

მეამბოხეთა ზარალი მადრიდის ფრონტზე

ბარსელონა, 14 ნოემბერი. (საქტაგ) ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ბოლო დღეებში მეამბოხეებს მადრიდის ფრონტზე მოუკლეს 3 ათასი კაცი, ტყვედ წაიყვანეს 600 კაცი, ხელთ იგდეს 1.600 შაშხანა და მრავალი სამხედრო მასალა.

მეამბოხეთა იძულებითი აღიარება

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საქტაგ) მეამბოხეთა რადიოსადგურმა სევილიაში დღეს ღამით გაავრცელა ცნობა, რომელშიაც აღიარებს, რომ მთავრობის ჯარები უტევენ მეამბოხეთა ჯარების ფლანგს სამხრეთ-დასავლეთიდან და მეამბოხეთა ზურგს სესენასა და მინტოში და ანხოლესის ვალლობის რაიონში. ეს პუნქტები მდებარეობენ 40, 25 და 16 კილომეტრის მანძილზე მადრიდის სამხრეთით. იგივე რადიოსადგური აღიარებს აგრეთვე, რომ ტოლედოს მახლობლად მოქმედებს მთავრობის ჯავშნიანი მატარებელი. ამით ბათილდება მეამბოხეთა წინანდელი მტკიცება, თითქოს ეს მატარებელი მეამბოხეთა თვითმფრინავებს მოესპოთ.

ესპანელი მეამბოხენი მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენებას აპირებენ

ლონდონი, 15 ნოემბერი. (საქტაგ) გუშინ ესპანეთის საელჩომ მადრიდიდან მიიღო ესპანეთის მთავრობის ნოტა, რომელიც კატეგორიულად უარყოფს მტკიცებას, თითქოს მთავრობის ჯარები მომწამლავ ნივთიერებებს იყენებდნენ. ნოტაში ხაზგასმულია, რომ მეამბოხეთა მტკიცება, აშკარაა, მოწმობს მათ განზრახვას მიმართონ კიდევ უფრო მხეცურ მეთოდებს, ვიდრე ის მეთოდები იყო, რომლებსაც ისინი უკვე მიმართავდნენ, როცა ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ მადრიდი.

ლონდონის კარგად ინფორმირებული წრეების ცნობებით, 15 ნოემბერს თემთა პალატაში შესდგა პალატის წევრთა საიდუმლო თათბირი. თათბირზე გამოვიდა ერთი კერძო პირი (ინგლისის მოქალაქე), რომელმაც თათბირის მონაწილეთ გადასცა კაბალიეროს თხოვნა, რომ პალატის რამდენიმე წევრი მადრიდს გაემგზავროს. კაბალიეროს აზრით, მადრიდში მათმა ყოფნამ შეიძლება ხელი შეუშალოს ფრანკოს — გამოიყენოს მომწამლავი ნივთიერებანი მადრიდის მოსახლეობის წინააღმდეგ. როგორც იუწყებიან, ამ წინადადებას გაცხოველებით იხილავენ თემთა პალატის წევრნი, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა. ამ თათბირის ამბავს მხოლოდ „სენდეი რეფერი" იუწყება, ამასთან გადმოგვცემს ერთი ესპანელი დიპლომატის სიტყვებს: „ინგლისის თემთა პალატის ათ-თორმეტ წევრს შეუძლია თავიდან აგვაცილონ ყველაზე საშინელი ხოცვა-ჟლეტა თანამედროვე ისტორიაში. ჩვენ არ ვითხოვთ, რომ მათ ჩვენს სასარგებლოდ პროპაგანდა გასწიონ, ჩვენ მათ არ ვთხოვთ ჩვენდამი სიმპატიები გამოიჩინონ. თუ ისინი ფრანკოს მომხრენი არიან, მით უკეთესი. ჩვენ მხოლოდ გვინდა, რომ რამდენიმე მაღალი ადამიანი მადრიდს გაემგზავროს და დარჩეს იქ, ვიდრე მადრიდის ბედი გადასწყდებოდეს. ეს დაკავშირებულია რისკთან, მაგრამ რომ ეს რისკი შევადაროთ ასეულ ათასობით ქალთა და ბავშვთა აგონიას, განა ნიშნავს ეს, რომ ჩვენ მეტისმეტად ბევრს ვითხოვთ"?

როგორც „სენდეი რეფერი" აღნიშნავს, ესპანეთის მთავრობა ჰთვლის, რომ ახლა მას საკმაო შეიარაღება მოეპოვება მეამბოხეთა დასათრგუნავად. გაზეთის სიტყვით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ თვითონ ფრანკოც ასე ფიქრობს. ამის მიხედვით, ფრანკოს გადაწყვეტილი აქვს გამოიყენოს მომწამლავი ნივთიერებანი. საჰაერო გზით 200 აირწინაღი გაიგზავნა ინგლისელ მოქალაქეთათვის, რომელთაც თავშესაფარი ჰპოვეს ინგლისის მადრიდის საელჩოში. მაგრამ, — განაგრძობს გაზეთი, — „მადრიდის ჰოსპიტლებში 25 ათასი დაჭრილია, რომელთაც აირწინაღები არა აქვთ, ისევე როგორც ისინი არა აქვს მადრიდის მილიონნახევრიან სამოქალაქო მოსახლეობას.

პროფ. ა. შანიძე

ვახტანგის დედანი „ვეფხის ტყაოსნისა" *

I.

„ვეფხის ტყაოსნის" ძველის-ძველი ხელნაწერები, სამწუხაროდ, არ შენახულა. უძველესი თარიღიანი ხელნაწერი ეკუთვნის 1646 წელს. ამაზე ადრინდელი ხელნაწერებიც არის, მაგრამ უთარიღო. მათ აკუთვნებენ XVI საუკუნის მიწურულს, ან, უკეთ, XVII საუკუნის დასაწყისს. პლატონ იოსელიანის მიერ მოხსენებული ორი ძველი ხელნაწერი, რომელთაგანაც ერთი ყოფილა ძველის-ძველი, ეტრატზე (პერგამენტზე), მეორე კი მე-15 საუკუნისა, ქაღალდზე, ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება.

ჩვენამდის მოღწეული XVII საუკუნის ხელნაწერები და ნაწყვეტები 20-ამდეა. ყველა ესენი უსწრებენ პირველ სტამბურ გამოცემას (1712 წ.), რომელიც ვახტანგის რედაქციით დაიბეჭდა. მოიპოვება XVIII საუკუნის ხელნაწერებიც, მეცხრამეტისაც, რომლებიც ვახტანგის ბეჭდური გამოცემიდან არ მომდინარეობენ, არამედ ძველ ტრადიციას მისდევენ.

ხელნაწერების შესწავლა და ერთმანეთთან შედარება შემდეგს გვეუბნება: ყველაფრად ერთნაირი ხელნაწერები არ მოიპოვება. ერთიმეორისაგან ისინი განსხვავდებიან ან ცალკეული ადგილების წაკითხვით, ან მთელი სტროფების მიმატებით ან გამოკლებით.

საზოგადოდ გენიალური ქმნილება რუსთველისა ორგვარი რედაქციით არის ცნობილი. ერთია ვრცელი, მეორე—მოკლე. ძველი (XVII-ს.) ხელნაწერები ვრცელია. ვახტანგის გამოცემა (და მისგან მომდინარე) ე. წ. „არტანუჯული" რედაქცია) მოკლეა. მოკლე „ვეფხის ტყაოსანი" (ვახტანგის გამოცემა) შეიცავს 1587 შაირს (ოთხსტრიქონიან სტროფს), ვრცელი რედაქცია კი — 725 შაირით მეტს. ეს ზედმეტი შაირები ვრცელი რედაქციისა ზოგი სულ ბოლოს არის მოთავსებული, ზოგი კი შიგა და შიგ არის გარეული. ვახტანგის გამოცემაში (მოკლე „ვეფხის-ტყაოსანში") სულ 57 თავია. ვრცელი რედაქცია კიდევ 10 თავს გვიჩვენებს ბოლოში, მამასადამე სულ 67 თავს. მოკლე „ვეფხის ტყაოსნის" უკანასკნელი (57-ე) თავის სათაურია „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთ მეფისაგან". ვახტანგისეულ გამოცემაში იგი შესდგება 52 შაირისაგან (№№ 1538—1589 [1]). ამათგან 22 უკანასკნელი შაირი (№№ 1568—1589) ხელნაწერთა ტრადიციის მიხედვით (ე. ი. ვრცელი „ვეფხის ტყაოსნის" მიხედვით) ამ თავს კი არ განეკუთვნება, არამედ შეადგენს ნაწილს მომდევნო თავებისას, სახელდობრ: 17 მათგანი (№№ 1568—1583) მოიპოვება მე-60 თავში, ხუთი უკანასკნელი კი (№№ 1584—1589) — 67-ში.

ჯერ-ჯერობით საბოლოოდ არ არის „ვეფხის ტყაოსნის" ტექსტი გაწმენდილი მერმე ჩანართისაგან, ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო, რომ საქვეყნოდ განთქმული პოემა აღდგენილ იქნეს დაახლოვებით იმ სახით, როგორც ის მოგვცა ქართული სიტყვის უებრო ხელოვანმა, მგოსანთ მგოსანმა რუსთველმა.

საკითხი დაისვა: როგორ მოხდა, რომ XVII საუკუნის ხელნაწერები ვრცელი რედაქციისაა, ვახტანგის მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში დაბეჭდილი კი — მოკლე? ესე იგი: რა ურთიერთობაა ვრცელ რედაქციასა და მოკლეს შორის, ხელნაწერებსა და პირველ ნაბეჭდ „ვეფხის ტყაოსანს" შორის? სხვანაირად რომ ვთქვათ: შეამოკლა ვახტანგმა მის დროს ვრცლად არსებული რედაქცია „ვეფხის ტყაოსნისა", თუ უცვლელად დაბეჭდა რომელიღაც მის დროს არსებული ძველი ხელნაწერი მოკლე რედაქციისა? თუ შეამოკლა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ამოუგდია შიგა და შიგ შაირები, სულ მოუწყვეტია ბოლოს ათი თავი (სადაც ინდო-ხატაელთა ამბები და ტარიელ-ავთანდილისა და მათი ცოლების სიკვდილია მოთხრობილი). ამ დაბოლოებიდან მარტოოდენ 22 შაირი დაუტოვებია თავის გამოცემაში და 57-ე თავისთვის მიუკერებია ბოლოს. მოკლედ რომ ვთქვათ: პირველი გამოცემა „ვეფხის ტყაოსნისა" კრიტიკული გამოცემაა, ხელოვნურად შემუშავებული ვახტანგის მიერ, თუ უცვლელი გამეორება ძველი ხელნაწერისა?

პასუხი ამ კითხვაზე სხვადასხვა იყო „ვეფხის ტყაოსნის" მკვლევართა მხრით. ერთნი ამბობდნენ: ვახტანგმა შეამოკლა ვრცელი რედაქცია, მან მოგვცა ახალი რედაქცია, სრულიად კრიტიკული გამოცემა „ვეფხის ტყაოსნისაო". არაო, სხვები უპასუხებდნენ: ვახტანგმა უცვლელად დაბეჭდა რომელიღაც ძველი ხელნაწერი მოკლე რედაქციისა, რომელიც მის დროს უთუოდ არსებობდაო.

შემოკლების შესახებ გარკვეული დებულება პირველად წამოაყენა ე. თაყაიშვილმა, რომელმაც 1908 წელს „ვეფხის ტყაოსნის" 24 ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა დაბეჭდა და ამ ხელნაწერების შედარების საფუძველზე დაასკვნა: ვახტანგ მეფეს გაუცხრილავს „ვეფხის ტყაოსანი" იმ დანართი შაირებისაგან, რომლებიც შიგ XVII საუკუნეში გაჩენილაო. ე. თაყაიშვილის აზრს მიემხრნენ (სხვადასხვა საბუთიანობით) ქ. კეკელიძე (1927 წ.) და კ. ჭიჭინაძე (1928 წ.).

დ. კარიჭაშვილი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა 1913 წელს: „არსაიდანა ჩანს და არც არის წარმოსადგენი, რომ ვახტანგ მეფეს თავის გამოცემაში რამე შესწორება შეეტანოს ან რამე შეეცვალოს — გამოეკლოს ან მიემატებინოს. სხვა ხელნაწერებთან შედარება ამ გამოცემისა გვარწმუნებს, რომ შესწორებული არაფერია მასში, არ არის არც დამატებული, ხოლო რაც შეეხება დაკლებას, არც ეგ არის ჭკუაზე მოსასვლელი. თუ რამე აკლია ვახტანგის გამოცემას მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერებთან შედარებით, ეს იმის ბრალია, რომ ეს მეტი რომ არ იყო ვახტანგის დედანში და მისი აზრით არც შეადგენდა „ვეფხის ტყაოსნის" ნაწილსო".

კარიჭაშვილის ეს დებულება გაიზიარეს სხვადასხვა მოსაზრებით და სხვადასხვა ვარიაციით ს. კაკაბაძემ (1913, 1927 წ. წ.), ი. აბულაძემ (1913, 1914-15, 1917, 1920, 1926 წ. წ.) (და პ. ინგოროყვამ) (1924—6, 1927 წ. წ.). პ. ინგოროყვა მაგ. დაჟინებით ამბობდა: „ყოველმხრივი შესწავლა ვახტანგისეული დედნისა ჩვენ გვიჩვენებს, რომ ვახტანგს უცვლელად დაუბეჭდავს ერთ-ერთი ძველი ვარიანტი „ვეფხის ტყაოსნისა". აქ არ არის ხელოვნურად შემუშავებული დედანი, არამედ ისეთივე ტრადიციული ტექსტი, როგორც დანარჩენი ხელნაწერებიაო".

საკითხი ვახტანგის დედნის შესახებ დღემდის საბოლოოდ გამორკვეული არ იყო. ჩემი მიზანია, ახალი და თანაც უეჭველი და უცილობელი საბუთები მოვიყვანო იმის დასამტკიცებლად, თუ რა მუშაობა ჩაატარა ვახტანგმა (ან მისმა კომისიამ) „ვეფხის ტყაოსანზე" და რას წარმოადგენდა ვახტანგის დედანი, რომ ამით ბოლო მოვუღოთ საკითხს, რომელიც აგრე საცილობელი იყო დღემდის.

II.

მოიპოვება ერთი მეტისმეტად სანდო, ეჭვმიუტანელი და უტყუარი წყარო, რომელიც ადვილად სწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ვახტანგის დედანი და რა მუშაობა გასწია ვახტანგმა (ან მის მიერ გამოყოფილმა კომისიამ) „ვეფხის ტყაოსნის" ტექსტზე, რომელიც მან პირველად დაბეჭდა 1712 წელს. ეს წყარო გახლავს სპეციალური გამოკვლევა „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ, რომელსაც „ვეფხის ტყაოსნის" მკვლევრები იცნობენ, იმოწმებენ კიდეც თავის დებულებათა დასადასტურებლად ან მოწინააღმდეგეთა აზრის გასაბათილებლად, მაგრამ მასში ცნობებს ვერ ხედავენ და სათანადოდ ვერ იყენებენ. ეს გამოკვლევა ეკუთვნის თვით ვახტანგ მეფეს, იგი თან ახლავს პირველსავე ნაბეჭდ „ვეფხის ტყაოსანს" და უჭირავს მისი უკანასკნელი გვერდები (286—351). გამოკვლევას სახელად ჰქვია „თარგმანი", ანუ დღევანდელი ქართულით: ახსნა-განმარტება (კომენტარიები). ამ ახსნა-განმარტებას ვახტანგი ასე იწყებს: „მე ვახტანგ, ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა, ვახტანგ წიგნსა ამასო". ეს ახსნა-განმარტება შეეხება „ვეფხის ტყაოსნის" საერთო იდეოლოგიას (რომელიც ვახტანგს ყალბად ესმის) და ცალკეული ადგილებისა და სიტყვების გაგებას, ვახტანგი რიგ-რიგად მიჰყვება „ვეფხის ტყაოსნის" შაირებს და ზოგ მათგანს „თარგმნის", ე. ი. გადმოგვცემს შინაარსს ან გვიხსნის გაუგებარ სიტყვებს. ვახტანგს ახსნილი აქვს მთელი პოემის მანძილზე ექვსასიოდე სტროფი, სხვები კი აუხსნელად დაუტოვებია.

ვახტანგის მონოგრაფიის გულდასმით შესწავლა ეჭვს არ სტოვებს, რომ მას ხელთ ჰქონია ვრცელი რედაქციის ხელნაწერი და იმ ვრცელ „ვეფხის ტყაოსანს" უწერდა იგი თარგმანს ანუ ახსნა-განმარტებას. ისიც ირკვევა, რომ ვახტანგს (ან მის კომისიას) საბოლოოდ სხვა რედაქცია შეუმუშავებია და დაუბეჭდავს. შედარება თარგმანში დამოწმებული ადგილებისა და პირველ ნაბეჭდი პოემის ტექსტისა დიდ განსხვავებას გვიჩვენებს: თარგმანში ერთია ნათქვამი და პოემაში სხვა. განსხვავება ორგვარია: ერთი შეეხება ცალკეულ სიტყვებს, მეორე კი — მთლიან სტროფებს [1]).

A. ცალკეული სიტყვების ჩვენება [2])

1. ვახტანგის დედანში (ე. ი. იმ ხელნაწერში, რომელსაც იგი კომენტარიებს უწერდა), მე-3 შაირში წერებულა:

მას არა ვიცი **შევჰმართო** შესხმა
ხოტბისა ხშირისა

ვახტანგი თავის თარგმანში აქედან **შევჰმართო** იმოწმებს და ამბობს: „**შემართება** შებედვას ჰქვიანო". მაგრამ შემდეგ, ხელნაწერების შედარებისა და შემოწმებისას დედნის **შევჰმართო** გაუსწორებიათ და მის ნაცვლად **შევჰკადრო** დაუწერიათ. ამიტომ პირველ გამოცემულ „ვეფხის ტყაოსანში" იკითხება:

მას არა ვიცი **შევჰკადრო** შესხმა
ხოტბისა ხშირისა

2. დედანში ვახტანგს ჰქონია (შ. 40):

მას თინათინის **გონება** ჰკლვიდის
წამწამთა ჯარისა.

ამიტომაა, რომ ვახტანგი ვერ თარგმნის: „თინათინის **მოგონება** ჰკლავდა, რომ ის ცოლად უნდოდაო". დაბეჭდილ პოემაში კი იკითხება:

მას თინათინის **შვენება** ჰკლვიდის
წამწამთა ჯარისა.

მაშასადამე, ვახტანგს (თუ კომისიას) გაუსწორებია დასაბეჭდი პოემის ტექსტი.

3. ვახტანგის დედანში წერებულა (515):

ქვე წვა, ვით კლდისა **ნაპრალსა**,
ვეფხი პირ-გამეხებული.

ვახტანგი განმარტავს: „**ნაპრალი** კლდე რომ გახეთქილი იყოს, ის არის". შემდეგ მას ტექსტი გაუსწორებია და დაუბეჭდავს:

ქვე წვა, ვით კლდისა **ნაპირსა**
ვეფხი პირ-გამეხებული.

4. ვახტანგს ხელნაწერში ჰქონია (554):

მას ზღუდესა [illegible],
მანდილოსანთა თვალი ვაგე.

ვახტანგი ხსნის: „**თვალი ვაგე** ჭვალი ვამყოფეო". ასეთი წაკითხვა ძველ ხელნაწერთაგან, რომელთაც მე ვიცნობ, მარტო ერთმა იცის. სხვებში კი ასე სწერია: „მანდილოსანთა **რომე ვაგე**" და ასეც შეუსწორებია ვახტანგს და ამ სახით დაუბეჭდავს.

5. ვახტანგს თავის დედანში ჰქონია (610):

აჯაბთა მჭედლნი მჭვრეტელთა
გულსა მის დაამძიმდიან.

კომენტატორი გვიხსნის: „**აჯაბი** საკვირველიაო". მაგრამ შემდეგ მას (ან უფრო კომისიის წევრს) პოემის ტექსტი გაუსწორებია და დაუბეჭდავს: „აჯათა მჭედლნი", როგორც მოღწეულ ხელნაწერთა უმრავლესობაშია ნათქვამი.

6. ვახტანგის დედანში წერებულა (780):

რაჟამს თავი სცრუვდა ყოლისა
უბადობისა.

ვახტანგი განსწავლის: „**უბადობა** ცუდსა ჰქვიან". შემდეგ კი **უბადობის** ნაცვლად **უზდობა** დაუბეჭდავს.

7. ვახტანგის ხელნაწერ „ვეფხის ტყაოსანში" ყოფილა (817):

ყოვლნი ტიროდეს, მოსთქმიდეს,
მერმე **დადუმდეს** გვიანად.

ამიტომ ვახტანგი საჭიროდ თვლის განმარტოს: „**დადუმება** დარუმება არის". ნაბეჭდ „ვეფხის ტყაოსანში" კი ვკითხულობთ:

ყოვლნი ტიროდეს, მოსთქმიდეს,
მერმე **დაწყნარდეს** გვიანად.

ჩანს, ვახტანგს გადაუსწორებია დედნის **დადუმდეს**.

8. დედანში წერებულა (1331).

მისთა **ნიშატთა** სიცოცხლე მათ მისა
მიიბარისა.

ვახტანგი ამბობს თარგმანში: „**ნიშატი** არ ვიციოდით". მაგრამ ჩახედეთ მის დაბეჭდილ პოემაში და აქ სხვა სიტყვას ნახავთ:

მისთა **ნიშანთა** სიცოცხლე მათ მისა
მიიბარისა.

მაშასადამე, აქაც ტექსტის გასწორებასთან გვაქვს საქმე.

---

*) საკითხის განხილვის წესით. რედ.

[1]) ვახტანგის გამოცემაში სულ 1587 შაირია, მაგრამ დანომვრის დროს ორ რიცხვი გამოჰრჩენიათ, ამიტომ უკანასკნელი შაირის ნომერია 1589.

[1]) აქ მხოლოდ რამდენიმე ნიმუში მომყავს დაწვრილებით [illegible] გამოკვლევაში, რომელიც „მნათობში" დაიბეჭდება.

[2]) შაირების ნომრები ვახტანგის გამოცემის მიხედვით არის [illegible].

მოვსპოთ შეცდომები, ვიმუშაოთ უკეთესად

საქართველოს კოლმეურნეობები სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების გატარებით და ამხ. ბერიას ყოველდღიური ხელმძღვანელობით და დახმარებით ჩქარი ნაბიჯით მიდიან წინ, აღწევენ ახალ-ახალ გამარჯვებებს.

ასეთი გამარჯვებები მიღწეულია კერძოდ ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებშიც. მაგალითად, 1936 წლის პირველი აგვისტოსათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი აღწევდა 14230-ს, რაც შეადგენს მოსახლეობის 78.4 პროცენტს, ნაცვლად 1931 წლის 1 იანვრის 25,4 პროცენტისა. რაიონის სოფლის მეურნეობისათვის ვარგისიანი მიწების 80,57 პროცენტი კოლმეურნეობათა სარგებლობაშია.

კოლმეურნეობებში გაიზარდა შრომადღის ღირებულება. მაგალითად, შარშან საჩხერის სოფლის საბჭოს სოფ. დუნთის მესამე ინტერნაციონალის კოლმეურნეობაში შრომადღეზე მიიღეს სიმინდი 6,8 კილოგრამი, ხორბალი—1,3 ლობიო—0,22, ღვინო—1,2 ლიტრი, ფულად—2 მანეთამდე. ქორეთის სოფლის საბჭოს წითელი სოფლის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში 1935 წ. შრომადღეზე მიიღეს: ღვინო 0,5 ლიტრი, სიმინდი 9,5 კილოგრამი, ხორბალი 0,5 კილოგრამი და სხვა მარცვლეული 1,5 კილოგრამი.

ასეთი კოლმეურნეობა რაიონში ბევრია.

კიდევ უფრო მეტს მიიღებენ ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობები. წელს მუყაითი, ენერგიული მუშაობით საკოლმეურნეო დოვლათი ბევრად გაიზარდა.

მაგრამ, მიუხედავად ამ წარმატებებისა და საერთოდ იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ჭიათურის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გასწიეს, არ შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი რიგზეა. ავიღოთ სტალინური წესდების გატარების საკითხი. აქ ჯერ კიდევ არის წესდების დარღვევის შემთხვევები, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს კოლმეურნეობათა შემდგომ ზრდა-განვითარებაზე. კორბოულის სოფლის საბჭოს სოფ. გოგოლაძეების ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ლ. კაპანაძეს, მიუხედავად რამდენჯერმე გაფრთხილებისა, კოლმეურნეობის გამგეობა არ უბრუნებდა, შეცდომით განსაზოგადოებულ მაკე ფურკამეჩს. მათ დაავიწყდათ ამხ. ლ. ბერიას მითითება, რომ „ფურკამეჩი პროდუქტიულ პირუტყვად ითვლება და განსაზოგადოებას არ ექვემდებარება“.

მერევის სოფ. საბჭოს სოფ. ზედა-უსახელოს ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა გიდევან მოსიაშვილმა 7 ფუთი თესლი შეიტანა კოლმეურნეობაში შესვლისას. შეუტანელი დარჩა კიდევ 7 ფუთი. ამ წლის დასაწყისიდან ხსენებული კოლმეურნე გარესამუშაოზე გაგზავნეს. მისი ოჯახის წევრმა კი 50 შრომადღე გამოიმუშავა. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ზ. სამხარაძე მოსავლის განაწილების დროს ამხ. მოსიაშვილს ეუბნება—სანამ 7 ფუთ თესლს არ შემოიტან, მანამ შენი ოჯახის წევრის მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე ხვედრ ფულს და პროდუქტებს ვერ მიიღებო.

წესდება კი გვეუბნება: „ერთპიროვნული მეურნე გლეხები, რომელთაც არტელში შესვლის წინ... თესლი არა აქვთ, არტელში მიიღებიან იმ პირობით, თუ იკისრებენ ვალდებულებას, რომ თავისი შემოსავლიდან 6 წლის განმავლობაში ნაწილნაწილ შემოიტანენ... თესლს ნატურით“.

განა არ შეიძლება, რომ კოლმეურნე მოსიაშვილმა წელს თავისი შემოსავლიდან მხოლოდ 1-2 ფუთი თესლი შეიტანოს კოლმეურნეობაში?

ჯალაურთის სოფ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ცარციძე არღვევს კოლმეურნეობების მიწათსარგებლობის წესებს. ამ სოფლის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფო აქტით სამუდამო სარგებლობაში მიიღო მიწა, რომლის ნაწილი ტყითაა დაკავებული. საბჭოს თავმჯდომარე კი, მიუხედავად იმისა, რომ უფლება არა აქვს, ნებართვებს იძლევა კოლმეურნეობის ტყეში შეშისა და სხვა სამშენი მასალის მოჭრაზე.

მართალია, ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმები დროულად შეადგინეს, მაგრამ ამ გეგმებით ყველგან როდი ხელმძღვანელობენ. ბრიგადის ზოგიერთმა წევრმა არც კი იცის, რა საწარმოო დავალება აქვს მას მიცემული ან რამდენი მოსავალი უნდა მიიღოს წელს. მაგალითად, საჩხერის სოფლის საბჭოს სოფელ ბეჟითის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავის“ მესამე და მეხუთე ბრიგადის წევრები ერთხმად აცხადებენ: ჩვენთვის უცნობი იყო, რამდენი მოსავალი უნდა მოგვეყვანაო. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ტ. კვამლაძეს ამ მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

სარევიზიო კომისიების უმოქმედობას ჭიათურის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაშიც ვხედავთ. მაგალითად, კაცხ-სალიეთის ამხანაგ სტალინის სახ. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიას რევიზია მიმდინარე წელს სულ არ გაუკეთებია, მაშინ, როდესაც სტალინური წესდება გვეუბნება „სარევიზიო კომისია ახდენს რევიზიას წელიწადში ოთხჯერ“.

ცხადია, ყველა ამ არანორმალური მდგომარეობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეობათა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ჯერ კიდევ ვერ შეითვისა მუშაობის ახლებურად წარმართვის მეთოდები.

რაიონის აგროპერსონალი, მათ შორის უბნის აგრონომებიც, ნაკლებად ეხმარებიან კოლმეურნეობებს. შრომის ორგანიზაციის სწორად დაყენება, კოლმეურნეობათა ყოველდღიური ხელმძღვანელობა, საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლა, წესდების ზუსტად დაცვა ზოგიერთ მათგანს ღვიძლსაქმედ არ მიაჩნია.

სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარებით, მთელი ძალების გამოყენებით, მტკიცე ბოლშევიკური მუშაობით ჩვენ უეჭველად ჩქარა გარდავქმნით მუშაობას და ჩქარა მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როცა ჩვენი რაიონის ყველა კოლმეურნეობები იქნებიან სანიმუშონი და კოლმეურნეები შეძლებულნი.

კ. გოგოლაშვილი.
შ. ცინცაძე.

◇ ◇ ◇

ციტრუსების მასობრივი კრეფა

(ტელეფონით ჩვენი საკუთ. კორესპონდენტისაგან)

მახარაძის რაიონში ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა მასობრივად მიმდინარეობს. გეგმის მიხედვით წელს აქ უნდა მოიკრიფოს 18 მილიონი ცალი ნაყოფი; აქედან 16 ნოემბრისათვის უკვე მოკრეფილი იყო 10 მილიონი და 602 ათასი ცალი. ყველაზე წინ არის ნატანების კოლმეურნეობა — მას გეგმა 55 პროცენტით აქვს შესრულებული.

ტ. ა.

მოსავლის განაწილებას ცუდად ხელმძღვანელობენ

შ. ჭელიძე

მიწსახკომის აღრიცხვის სექტორის უფროსი

ამხანაგ ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მე-5 პლენუმზე უსაყვედურა მტს-ის დირექტორებსა და რაიმიწგანის გამგეებს, რომ ისინი ფორმალურად იხილავენ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებს. წლიურ და კვარტალურ ანგარიშებს, მოსავლის და შემოსავლის განაწილების გეგმებს, არ გამოჰყავთ საჭირო დასკვნები და სათანადო მითითებებს არ აძლევენ ამ მხრივ კოლმეურნეობებს. სამწუხაროდ, მთელ რიგ შემთხვევებში ამ საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას ახლაც ვხედავთ.

სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობები ჯერაც არ შესდგომიან მოსავლის განაწილების გეგმების შედგენას, რადგან გეგმის ფორმას რაიონიდან ელიან, ხოლო მიწგანსა და მტს-ს ეს ფორმები კიდევ არ დაუბეჭდიათ.

ლუქსემბურგის რაიონის კოლმეურნეობების ნაწილს 10 ოქტომბრისათვის არ ჰქონდა შედგენილი მოსავლის განაწილების გეგმები. ფორმებს რაიმიწგანიდან და მტს-იდან ელოდნენ. კასპის რაიონში ამავე რიცხვისათვის მოსავლის განაწილების გეგმა მხოლოდ 10 კოლმეურნეობაში იყო შედგენილი.

დუშეთის რაიონის ამხ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში სათესლე სადაზღვევო ფონდში ნაცვლად წესდებით გათვალისწინებული 10-15 პროცენტისა გამოყოფილია 42 პროც. (332 ცენტნერ საერთო მოსავლიდან სათესლე ფონდში გამოყოფილია 76 ცენტნერი, სადაზღვევოში — 62 ცენტნერი). თითქმის ყველგან ხდება 15 პროცენტიანი სათესლე და საფურაჟო სადაზღვევო ფონდის გამოყოფა, არტელის წესდება კი ითვალისწინებს მოუსავლიანობისა და საკვების უქონლობისაგან დასაზღვევად ხელუხლებელი სათესლე და საკვები ფონდების წლიური საჭიროების 10-15 პროცენტის ოდენობით გადადებას, ხოლო მათი განახლება, და არა გამოყოფა, ყოველწლიურად ხდება.

ჯუღელის რაიონში სათესლე სადაზღვევო ფონდებს 1935 წლამდე შესაბამისად აბარებდნენ სოფსაბჭოებს და მათი გზავალი კოლმეურნეობებმა არ იციან. შარშან გამოყოფილი ფონდებიც არ სჩანს.

ჯუღელის და ქუთაისის რაიონთა კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების გეგმები დიდი ხანია შედგენილია, დამტკიცებულია კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე და განხილულია მიწგანის და მტს-ის მიერ. მაგრამ ამ გეგმებს არავითარი ღირებულება არა აქვთ, რადგან ისინი შედგენილია არა ფაქტიური მოსავლის, არამედ მოსალოდნელი—სავარაუდო მოსავლის მიხედვით. შემოწმებულ კოლმეურნეობებში ჩვენ ვერ ვნახეთ, რომ შრომადღეზე სიმინდის ფაქტიური განაწილების ოდენობა ამ გეგმას უდრიდეს.

ჯუღელის სახელობის კოლმეურნეობაში დამტკიცებული გეგმით უნდა გაეცათ 2,97 კგრ., თავმჯდომარემ კი თვითნებურად იგი 1,5 კილოგრამამდე შეამცირა. მოსავლის განაწილებამდე ფაქტიურად გამომუშავებული შრომადღეების არასრულ ანაზღაურებას ვხედავთ სხვა რაიონის კოლმეურნეობებშიაც. მაგალითად, ბაშკიჩეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შრომადღეზე ყველა მარცვლეული 11 კილოგრამი მოდის, გასცეს კი მხოლოდ 5 კგრ. ბორჩალოს რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში შრომადღეს უწევს 4 კგრ. გასცეს 2 კგრ. ლუქსემბურგის რაიონის ბოლნის-ხაჩინის სას.-სამ. არტელში კოლმეურნეთა ერთ ნაწილს შრომადღეზე მისცეს 4 კგრ. მარცვლეული, ხოლო მეორეს (ტრაქტორისტებს) — 4,7 კგრ.

კიდევ უფრო უხეში შეცდომა დაუშვეს ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობებმა. მაგალითად, ს. შაუმიანის, მესამე ინტერნაციონალის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა მარცვლეულის მოსავალი მთლიანად გაანაწილეს მოსავლის განაწილებამდე გამომუშავებულ შრომადღეებზე ისე, რომ არცერთი მარცვალი აღარ დაუტოვებიათ იმ შრომადღეების ასანაზღაურებლად, რომლებიც საშემოდგომო სამუშაოებზე იქნება გამომუშავებული 1 იანვრამდე.

ყვარლის რაიონში წელს შრომადღის ანაზღაურების გადიდების მიზნით მთელ მოსავალს ანაწილებენ 1-ლ ნოემბრამდე გამომუშავებულ შრომადღეებზე, ხოლო ნოემბერსა და დეკემბერში გამომუშავებული შრომადღეები ასანაზღაურებლად გადააქვთ მომავალ წელში, რითაც უხეშად არღვევენ არტელის წესდებას.

სიმინდის აღება და მისი შრომადღეებზე განაწილება დაუშვებლად ჭიანურდება აგრეთვე ხაშურის, კასპის, ყვარლის, თელავის და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებშიაც.

ცალკეულ კოლმეურნეობებში არღვევენ ტრაქტორისტების შრომის ანაზღაურების წესს. მაგალითად, ლუქსემბურგის მტს-მა ბოლნის-ხაჩინის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტებს შრომადღეზე მისცა 3 კილოგრამი პურეული, ხოლო დანარჩენ კოლმეურნეებს 13 კილოგრამი.

ცუდად გაიგეს აგრეთვე სას.-ს.მ. არტელის წესდების მითითება, რომ ხდებოდეს ბრიგადების შრომადღეებით დაჯილდოვება ან დაჯარიმება, ბრიგადას წარმატების მიხედვით. ბაღდათის რაიონის კოლმეურნეობებში მიწგანმა ისეთი წესი გაატარა, რომ თვითეულ ბრიგადას ყოველ კულტურაზე ცალკე ერიცხებოდა ან ექვითებოდა გამომუშავებული შრომადღეები სწორედ იმდენი პროცენტით, რამდენითაც მან გადააჭარბა ან დააკლო საშუალო საკოლმეურნეო მოსავალს. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ერთი და იგივე ბრიგადა კიდეც დააჯილდოვეს და კიდეც დააჯარიმეს.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავლის აღრიცხვისა და მისი დატაცებისაგან დაცვის საქმე ჯეროვან სიმაღლეზე ვერა დგას.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსავალს განზრახ ნაკლებს აჩვენებენ, რათა ნაკლები შეიტანონ ნატურგადასახდელი. ამით სახელმწიფოსაც ატყუებენ და ამავე დროს ეს დამალული და აღურიცხავად დარჩენილი პური სრულიად იკარგება და ნიავდება.

ჯუღელის რაიონის ჯუღელის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგეს ივანე ჯუღელს რევიზიის დროს აღმოაჩნდა დანაკლისი 5.816 კილოგრამი სიმინდი. მისი საქმე ზესტაფონის რაისასამართლოს გადაეცა, ხოლო სასამართლომ 4.400 კილოგრამის დანაკლისი ნორმალურად ჩასთვალა „შეშრობის“ მოტივით და ჩამოაწერა.

ამ დამახინჯებებს უნდა მოეღოს ბოლო!

◇ ◇ ◇

თამბაქოს მოსავლის ახალი რეკორდი

ხულოს რაიონის მეთამბაქოე დამკვრელმა კოლმეურნეებმა წელს თამბაქოს უხვი მოსავლის მოყვანის სანიმუშო მაგალითებს მიაღწიეს. საქ. კ.პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარცაკის ხელმძღვანელ ამხანაგებს მეთამბაქოე დამკვრელმა კოლმეურნეებმა შეხვედრის დროს 8 მარტს თამბაქოს სტახანოვური ჰექტარიდან 17 ცენტნერი თამბაქოს მოსავლის მიღება აღუთქვეს.

მეთამბაქოე დამკვრელ კოლმეურნეთა ამ პირობის განაღდებას სერიოზულად მოჰკიდა ხელი სოფ. იაკობაძეების კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ კოლმეურნე ხუსეინ იაკობაძემ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე იკისრა ჰექტარზე 17 ცენტნერი თამბაქოს მოსავლის მიღება.

კოლმეურნეობის საერთო კრებამ სათამბაქოე ფართობიდან გამოჰყო ნახევარი ჰექტარი ნაკვეთი და მას ამხ. ხუსეინ იაკობაძე მიამაგრა.

ამოცანა მეტად სერიოზული იყო. ჯერჯერობით არავის ახსოვს, რომ ხულოში ჰექტარზე 17 ცენტნერი თამბაქო მიეღოთ.

ხუსეინ იაკობაძემ იმავე დღიდან, რაც მან კოლმეურნეობიდან ნახევარი ჰექტარი სათამბაქოე ნაკვეთი ჩაიბარა, მთელი ენერგიით მოჰკიდა ხელი სამუშაოთა აგროწესისამებრ შესრულებას — სასათბურე მეურნეობებიდან გამოიყვანა თამბაქოს ჯანსაღი ნერგი, ნახევარ ჰექტარზე 35.000 ძირი თამბაქო დარგო, მტკიცედ დაიცვა პლანტაციის გათოხნის ვადები, თამბაქოს არ მოაკლო აგროწესით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

კოლმეურნე ხუსეინ იაკობაძის სიტყვა საქმედ იქცა. ამას ამტკიცებს ამოუშრომივით ყვითლად, მოელვარე 4900 ზონარი თამბაქო. ხუსეინმა ნახევარი ჰექტარიდან 8,5 ცენტნერის ნაცვლად 11,5 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა. ეს პირველი მაგალითია ზემოაჭარაში.

აქ მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც სამაგალითოა. კოლმეურნე ხუსეინ იაკობაძის მიერ მიღებული 11 ნახევარი ცენტნერი მოსავლიდან პირველი ხარისხის თამბაქო 25 პროცენტს შეადგენს, მეორე — 33 პროცენტს, მესამე — 40-ს.

ს. ჯანაშია

აფხაზეთში დაიწყო ციტრუსთა ნაყოფის კრეფა. დაახლოვებით გამოანგარიშებით წელს აფხაზეთში მოელიან 17 მილიონ ცალ ციტრუსის ნაყოფს. **სურათზე**: გაგრის რაიონის მესამე ინტერნაციონალის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ციტრუსის სანერგის გამგე ამხ. **ი. ქაჯაია** აწონებს მანდარინის მოსავალს.
ფოტო **პარახუკვეთულისა** („სოიუზფოტოს“ საქ. განყოფილება).

მანდარინი მოდის!

(„კომუნისტის“ საკუთ. კორესპონდენტისაგან)

სუფსის (ლანჩხუთის რაიონი) სოფლის საბჭოში წელს 4.600 ათასი ცალი ციტრუსთა ნაყოფი უნდა დამზადდეს. ეს მთელი რაიონული გეგმის 83,6 პროც. უდრის.

მანდარინის მასობრივი დამზადება უკვე დაიწყო. 14 ნოემბერს, საღამოს 7 საათისათვის, სუფსის მიმღებ პუნქტს უკვე დამზადებული ჰქონდა 828.900 ცალი მანდარინი, რაც წლიური გეგმის 18 პროცენტს აღემატება. დამზადების ტემპები დღითი-დღე ძლიერდება. მაგალითად, 11 და 12 ნოემბერს სუფსის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 93.090 ცალი მანდარინის ნაყოფი, 13 ოქტომბერს — 75.810, ხოლო 14 ოქტომბერს, საღამოს 7 საათამდე, — 66.000.

კოლმეურნეები დიდი ხალისით აბარებენ მიმღებ პუნქტს ციტრუსთა ნაყოფს. ისინი ჩაბარებისთანავე ღებულობენ პუნქტისაგან ჩაბარებული მანდარინის მთელ ღირებულებას. მიუხედავად იმისა, რომ მანდარინის კრეფა 3-4 დღის წინათ დაიწყო, მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა არა მარტო შეასრულეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები, არამედ გადააჭარბეს კიდეც. მაგალითად, კოლმეურნე ერმილე ახალაიამ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 6.600 ცალის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 11.490 ცალი მანდარინი. ღრმაღელის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გიდევან თოდუამ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალება 142 პროცენტით შეასრულა, კონსტანტინე ჭანტურიამ გეგმის ზევით ჩააბარა 2.865 ცალი მანდარინის ნაყოფი, კაპიტონ დოლიძემ — 2865 ცალი.

კარგი მოსავლით მრავალმა კოლმეურნემ უკვე მიაღწია მეწვრილეობის ლიკვიდაციას. მაგალითად, კოლმეურნე ჟორჟი კეჭაყმაძემ შარშან (როგორც ცნობილია, მანდარინის მოსავალი შარშან ყველგან კარგი იყო) 3.000 ცალი მანდარინის ნაყოფი ჩააბარა სახელმწიფოს, წელს კი აბარებს — 18.000 ცალს. კოლმეურნე ნესტორ ჩხაიძე თავის საკარმიდამო ნაკვეთიდან წელს 100.000 ცალ მარტო მანდარინს ღებულობს. კოლმეურნე მათე ჟღენტი 14.000 მანეთს ლიმონის გაყიდვისგან მიიღებს. კოლმეურნეები: მელენტი ჩხარტიშვილი, ვარდენ იმედაიშვილი, მიხეილ ჯორბენაძე, ვანო გერგენიძე და სხვები თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთიდან წელს პირველად აბარებენ სახელმწიფოს ციტრუსთა მოსავალს.

სუფსის მიმღები პუნქტი, რომელიც რაიკოოპკავშირს ეკუთვნის, უკვე მომარაგებულია ტარითა და შესაფუთი მასალებით, მოწყობილია სამცვლიანი მუშაობა, ყოველდღიურად აქ შეიძლება 200.000 ცალი მანდარინის და ლიმონის მიღება, პუნქტში ამჟამად 70 ქალი და კაცი მუშაობს. ბევრი მათგანი გადაჭარბებით ასრულებს შეფუთვისა და დახარისხების ნორმებს. არიან სტახანოველებიც. მაგალითად, ანა ელისევამ 14 ნოემბერს ნორმით გათვალისწინებული 35 ყუთის ნაცვლად 65 ყუთი მანდარინი შეფუთა, თამარა კვანტრიაძემ კი 58 ყუთი. შრომის ნაყოფიერების ზრდას ხელს უწყობს ის, რომ აქ შემოღებულია სანარდო სისტემა.

ამ მიღწევებთან ერთად ციტრუსების დამზადებაში არის ნაკლიც. პირველყოვლისა, ეს საწყობის სიმცირესა და გადარჩეული მანდარინის გაგზავნას შეეხება. აქ წელს ახალი საწყობი უნდა აგებულიყო. მშენებლობა კარგა ხნის წინათ დაიწყო, მაგრამ იგი ჯერაც არ არის დამთავრებული. ამის გამო მთელი დამზადებული ყუთები და საყუთე მასალა ძველ შენობაშია თავმოყრილი, სადაც დამზადებული მანდარინის დახარისხება სწარმოებს, რაც დიდად აფერხებს მუშაობას.

აქ ჯერ კიდევ არ მიუღიათ იმის განკარგულება, თუ სად უნდა გადაიგზავნოს დახარისხებული ციტრუსთა ნაყოფი. 12-13 ნოემბერს შეფუთული მანდარინი ჯერაც არ არის გაგზავნილი დანიშნულებისამებრ. თუ გაგზავნის საკითხი სასწრაფოდ არ მოწესრიგდა, მოსალოდნელია უკვე დამზადებული და შეფუთული მანდარინის დაზიანება.

მიმღებ პუნქტში ამჟამად მხოლოდ ერთი სასწორია დადგმული, რაც ვერ აუდის მუშაობას და იწვევს ჩამბარებელთა დიდ რიგებსა და ზედმეტ მოცდენას. გარდა ამისა, პუნქტთან მისასვლელ გზაზე დიდი ტალახი დგას.

აღნიშნული ნაკლოვანებანი დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს.

ტ. აცანიძე

ზემორე მოყვანილი მაგალითები სავსებით ცხადყოფენ, რომ ვახტანგი კომენტარიებს უკეთებს არა იმ რედაქციას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ 1712 წლის გამოცემის მიხედვით, არამედ სხვას.

ახლა მივხედოთ შაირების შედგენილობას.

B. შაირების ჩვენება

გამოკვლევაში, რომელიც ვახტანგის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ ახლავს, მოიპოვება შემთხვევით გადარჩენილი ცნობა შვიდი შაირის შესახებ, რომლებიც ვახტანგს თავის გამოცემაში არ შეუტანია.

პირველი ჩავარდნილი შაირი

34¹) როსტევან უხმნა ვეზირნი,
უბრძანებს თუცა ფარულად:
მე ძე არ მომცა სოფელმან,
კიდეც მისთვის ვარ მალულად;
მე ჩემთა სპათა თავადად,
შემტევებელი ქარულად.
მოლხინედ, მოასპარეზედ,
გამჭვირვებლად დარულად.

ეს შაირი ყოფილა ვახტანგის დედანში, ვახტანგს ახსნა-განმარტებაც დაუწერია მისა, მაგრამ შემდეგ შაირი ამოუგდიათ გამოცემიდან, ხოლო თარგმანში რაღაც გაუგებრობით ახსნა-განმარტება გადარჩენილა. აი რას ამბობს ვახტანგი: **როსტევან უხმო ვეზირნი**[1]). **ხმობა** დაპატიჟებას ჰქვია და დაჰპატიჟა ვეზირთაო. და ფარულად რჩევას (ვით რომ შვილი არა მყავს და რა მმართებსო) ჰკითხავს“.

მეორე ჩავარდნილი შაირი

37¹ ერთობ დაშალეს ვეზირთა, მაგრა
ვინ მოუსმინებდა?
მეფე ლალი და უკადრი, იგი ქნის,
რასაცა ინებდა.
თინათინ დასვეს ხელმწიფედ, ვინ
მზესა ითვალწუნებდა,
ვინ სალსა კლდესა დაადნობს და
ცვილსა გაატინებდა.

ამ სტროფის შესახებ თარგმანში გადარჩენილა ასეთი შენიშვნა: „**ერთობ დაშალეს ვეზირთა**: დაუშალეს თავაზისათვის ვეზირთ. მაგრამ იმ მეფის ძალიანობას აქებს, რომე რაც უნდოდა, ის ქნაო, რომე იმას შვილი არ ჰყვანდაო“.

მესამე ჩავარდნილი შაირი

44¹ ადგა როსტენ, შენსა მზესა, ხელით
ხელსა მოეკიდა.
მის საბოძვრის მისათვალავად
მიზიდავს და მიჰყავს კიდე.
დავბერდი და დავძაბუნდი, მე
დღეთავე ჩემთა ვთვლიდე,
რაც შევსცოდე შემოქმედსა, ვტირი
და ვინანიდე.

როგორც ჩანს, ვახტანგი გვიან დარწმუნებულა, რომ ეს შაირი ყალბია, რუსთველის კალამს არ ეკუთვნის. თარგმანში იგი წერს: „როსტენ ხელი მოჰკიდა და დასვა მეფედ. და იმას უბნობს, რომ ის მეფობა როსტენ უბოძა, რომ მეფობის ძისათვალავად მიჰყავსო. თავისას ამას ამბობსო: მე დავბერდი და დავძაბუნდიო და რაც ღვთისათვის შემცოდავს, იმის შენანებას ვეცდებიო, რომ სიბერეში სინანულს და ცოდვის მონანებას ასწავლის მკითხველსა“. შაირის შინაარსი ჩინებულად არის გადმოცემული. ცხადია, იგი ვახტანგის დედანში ყოფილა, მაგრამ ბეჭდვისას ამოუღიათ. უნდა ამოეღოთ, ალბათ, ეს ახსნა-განმარტებაც თარგმანიდან, მაგრამ სიჩქარისა თუ დაუდევრობის გამო, ამოუღიათ არა ეს ახსნა-განმარტება, რომელიც უკვე უადგილოა, არამედ წინა შაირის ახსნა და იმ წინა შაირის დასაწყის სიტყვებზე (**მოვიდეს სრულნი არაბნი**) პირდაპირ გამოტოვებული შაირის ახსნა მიუკერებიათ! სხვანაირად რომ ვთქვათ, დაუბეჭდავთ გამოტოვებული შაირის თარგმანი და გამოუტოვებიათ დაბეჭდილი შაირის ახსნა-განმარტება.

მეოთხე ჩავარდნილი შაირი

73¹ როსტან დაბერდა, გაუშვებს
ქურობა-დარბაზებართა.
მაგრამ მისებრი ვის ძალ-უც სწავლა
სოფლისა ზნებართა?
მშვილდოსნად მსგავსი ქმრისა
მობურთლად მომტაცებართა.
ცოტასა შეჰგავს მშვილდოსნად
ლალი ავთანდილ მზე ბართა.

გამოცემაში ეს შაირი არ ურევია, მაგრამ თარგმანში გადარჩენილა შემოკლებული ცნობა: „ავთანდილის ქებაც უთქვამს, რომე მეფესა და ყველასა ავთანდილს აჯობინებს“. ეს შაირი რომ უეჭველად იყო ვახტანგის დედანში, ამას ადასტურებს აგრეთვე შემდევნო (74) შაირის თარგმანი: „ესეც (ე. ი. 74-ე შაირი) იმის მიმსგავსებულად უთქვამს ამბავის გასრულებისათვის“. მიმსგავსებულობა დაიკარგება, თუ ზემორე მოყვანილ შაირს ამოვიღებთ. მსგავსება კი მართლაც არის:

1) **მშვილდოსნად** მსგავსი ქმრისა,
მობურთლად მომტაცებართა.
ამუწვრთნია მგვანდა **მშვილდოსნად**, ანუ
კვლავ **ბურთაობათა** (74).
2) **ცოტასა შეჰგავს** მშვილდოსნად
ლალი ავთანდილ მზე ბართა
(73¹).
ცოტასა შემწევს ავთანდილ
ჩემგანვე განაზრდობითა (74).

მეხუთე ჩავარდნილი შაირი

174¹ თავი ჩემი სამსახურად შენთვის
რადმცა **შევიწყალე**,
რასათვის არ დავდები,
უსაყველოდ **წავალ ხვალე**,
გული ფერი ლალისფერისა
ცვარწითლდეს გავალე,
სიცოცხლისა უკეთესი რამცა
მიბოძე, რამც ვიცოდე?

ამ შაირის ვახტანგის დედანში არსებობას აჩენს ორი გარემოება: 1) ვახტანგი ხსნის „**შეწყალებას**“ და ამბობს: „**შეწყალება** შებრალებაა“. 2) ორი შაირის შემდეგ, საუბარია ავთანდილის შინ წასვლაზე და კომენტატორი შენიშნავს: „**ხვალ წასვლა** რომ უთხრა, იმისთვის გამოისალმა“. აღნიშნული შაირი გამოცემიდან ამოუღიათ, ამიტომ თარგმანიდან ამოუღებელი „შეწყალება“ და „ხვალ წასვლა“ უპატრონოდ გაუგებარი და ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

მეექვსე ჩავარდნილი შაირი

150¹ მოუკლივარ თინათინს სურვილსა
და სიყვარულსა.
ცრემლი ცხელი აცივლებდის
ნარგიზთაგან ვარდსა ზრუნვილსა.
ვერ ვაჩენდი აქანამდის პირისა
ჩემგან დაფარულსა.
ახ მიბრძანა სამიჯნურო, ამად შევიქენ
მხიარულსა.

ეს შაირი ვახტანგს გამოცემიდან ამოუგდია, მაგრამ დაავიწყდა ალბათ, რომ თარგმანიდანაც ამოეღო ან ამოეღებინებინა სათანადო განმარტება, რომელიც წინა სტროფის განმარტებაზეა მიკერებული: „**ხურვალი** ნახვის ნდომა არის, **ნარგიზად** ქუთუთო უთქვამს და **ვარდი** ხომ ლაწვი არის“.

მეშვიდე ჩავარდნილი შაირი

274¹ მისი მჭვრეტელი იყომცა ჰკვეთა
მეტის მეტითა.
შენ კაცთა ნაცვლად ნადირთა
ახლავ ცხობითა ოდითა.
სჯობს ერთი კაცი იახლო,
ილხენდე მისი მჭვრეტითა,
ვით იადონი არ მოჰკვდე
ბუმბულის თესლთა კვნეტითა.

ეს შაირი არ ჩანს ვახტანგისეულ გამოცემაში, სამაგიეროდ წინა შაირის ახსნაზე მიკერებულია აქედან ამოღებული სიტყვების ახსნა: „**იადონი** ბერძნულად ბულბულსა ჰქვიან, **ბულბული** ბალახსა ჰქვიან“.

რომ ამ სიტყვების ახსნა აქ შემთხვევით გადარჩენილა, მაგრამ რომ მათი მოყვანა ვახტანგის მიერ სრულიადაც არ არის შემთხვევითი, ამას ადასტურებს შემდეგი: 757 შაირში იკითხება სტრიქონი, სადაც **იადონი** გვხვდება:

იადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს
ვარდმან [illegible].

ვახტანგი ამის გამო შენიშნავს „**იადონი** ზეით სწერიაო“. სადღა ეწერებოდა ზეით, რომ შაირის ამოგდებასთან ერთად მისი განმარტების კვალიც გამქრალიყო თარგმანიდან? არსად.

მოყვანილ შვიდ ჩავარდნილ სტროფთაგან ოთხი პირველი ისეთია, რომ ისინი არც ერთ მკვლევარს და არც ერთ „ვეფხის ტყაოსნის“ გამომცემელს არ მიუჩნევია რუსთველის კუთვნილებად და არ შეუტანია პოემაში. ისინი ზოგმა ხელნაწერმა არ იცის. შეტანილია მხოლოდ უგვიანეს ხელნაწერებში და აშკარად მერმე ჩართული შაირებია.

საინტერესოა, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ ერთი მკვლევარი ამტკიცებდა: „რომ ვახტანგს არავითარი ცვლილება არ შეუტანია მის მიერ გამოცემულ ოძველეს ხელნაწერში, ეს სხვათა შორის განსაკუთრებით ხაზგასმით მოსჩანს ვახტანგის კომენტარიების ადგილებიდან“ („მნათობი“, 1927, № 3). კომენტარიების ახლო გაცნობამ თითქო სულ სხვა ამბავი გამოამჟღავნა.

სურათი ნათელია: ვახტანგს თარგმნისას ხელთ ჰქონდა ისეთი დედანი, რომელიც ვრცელი რედაქციისა იყო. შიგ უნდა ყოფილიყო აუცილებლად არა მარტო მოყვანილი შვიდი შაირი, არამედ ბევრი სხვა შაირიც, როგორც შიგა და შიგ, ისე პოემის ბოლოს. ვახტანგის მიერ დაბეჭდილი „ვეფხის ტყაოსანი“ კი სხვაგვარად არის გაკეთებული: შეცვლილია, დედანთან შედარებით, ცალკეული სიტყვები და გამოტოვებულია მთელი შაირები, მაშასადამე, **ვახტანგს გაუცხრილავს „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტი, პირველი გამოცემა „ვეფხის ტყაოსნისა“ არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი, ვახტანგისეული გამოცემა არის კრიტიკული გამოცემა.**

ვახტანგის კომენტარიები დაუდევრად არის დაბეჭდილი: პოემიდან ამოუღიათ მთელი სტროფები, შეუცვლიათ ცალკეული სიტყვები, მაგრამ სათანადო ცვლილება თარგმანში მთლიანად ვერ გაუტარებიათ. აქა-იქ დარჩენილა ისეთი ადგილები, რომლებიც ვახტანგის დედნის ვითარებაზე აშკარად მიგვითითებს. დაუდევრობა ცუდი საქმეა საზოგადოდ. მაგრამ რადგანაც პირველნაბეჭდი „ვეფხის ტყაოსნის“ პასუხისმგებელი კორექტორისა და ტექნიკური მეთვალყურის დაუდევრობამ საშუალება მოგვცა სავსებით გამოვარკვიოთ ერთი კარდინალური საკითხთაგანი „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ (სახელდობრ საკითხი ვახტანგის დედნის შედგენილობის შესახებ და აგრეთვე ხასიათი ვახტანგის მიერ, ან მისი კომისიის მიერ „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტზე გაწეული მუშაობისა) დაეპატიოს მას (ან მათ) უყურადღებობა, რომელიც გამოუჩენია უმნიშვნელოვანესი პოემისა და მისი თარგმანის ბეჭდვის დროს.

○

„ვეფხის ტყაოსნის“ გარშემო კიდევ ბევრია საცილობელი. მკვლევართ ჰმართებთ ცოდნაზე დამყარებული საბუთიანობა, საბუთიანობა და კვლავ საბუთიანობა.

◆

---

[1] ლექსებრობის თავიდან ასაცილებლად კომენტატორი სტროფის დასაწყისს თარგმანშიც ასახელებს.

ჩვენ გვწერენ

ობლიგაციებს არ არიგებენ

უშაბათის (ცხაკაიას რაიონი) არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლებმა ხელი მოაწერეს მეორე ხუთწლედის პირველი წლის სესხს 1.325 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა გადაირიცხა შემნახველ სალაროში, მაგრამ ობლიგაციები ხელმომწერლებს არ მიუღიათ. ამ საქმეში ჩაერია პროკურატურა. ობლიგაციების გაუცემლობის ფაქტი დადასტურდა. მიუხედავად ამისა ობლიგაციები არც შემდეგ დაურიგებიათ.

ვინ ჰფარავს ბოროტმოქმედთ?

აკ. ტუღუჩავა.

გვინდა საავადმყოფო

ლესიჭინეთის სას. საბჭოში (ლანჩხუთის რაიონი) 1930 წელს გახსნეს საავადმყოფო, შემდეგ კი ის საექიმო პუნქტად გადააკეთეს. კოლმეურნეებს ჰსურთ საავადმყოფოც ჰქონდეთ, რადგანაც ახლო-მახლო ასეთი რამ არ მოიპოვება.

შ. კუნჭულია.

საჭიროა ფურნე

სოფ. საჩინოს (წალენჯიხის რაიონი) ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 1936 წელს აშენდა ფურნე.

ფურნე მომსახურებას უწევდა ირგვლივ მყოფ კოლმეურნეობებს (ბერიას სახელობის, „ჭითა მინდორი“, „გმათანე“, შელიას სახელობის, „მერეხი“).

ახლა ფურნე რატომღაც დაიხურა. კოლმეურნეობები მოითხოვენ მის ხელახლა გახსნას.

შიო ფიფია.

ხელფასი დროზე არ გასცეს

ზემო-სვანეთის მთელი რიგი სოფლების (ბეჩო, ეწერი, ცხუმარი) მასწავლებლებს სექტემბრის ხელფასი 30 ოქტომბერსაც არ ჰქონდათ მიღებული. სახბანკმა მხოლოდ 12 ოქტომბერს გადაურიცხა კავშირგაბმულობის მესტიის განყოფილებას მასწავლებელთა სექტემბრის ხელფასი. კავშირგაბმულობის განყოფილება — ფულის ნიშნები არ გვაქვსო და ხელფასს არ იძლევა.

განა დასაშვებია მთავრობის დადგენილების ასე დამახინჯება?

ვიქტორ ქობალია.

უხეირო სამკითხველო

ლეძაძამის სასოფლო საბჭოში (ცხაკაიას რაიონი) კულტმუშაობა სუსტია. არსებობს სამკითხველო, მაგრამ მეტად უხეირო. წრეები უმოქმედონი არიან, მხატვრული ლიტერატურა ძალიან ცოტა მოიპოვება. კოლმეურნეობებში მასობრივი მუშაობა არც კი ახსენდება სამკითხველოს გამგეს ამხ. ვ. ბარკალაიას. როდემდის გაგრძელდება ასე?

დ. კანკია.

გავაკეთოთ ხიდი

სადგურ სუფსასა და ქ. ფოთს გზატკეცილი აერთებს. ეს გზა ძალიან საჭიროა, მაგრამ მდ. მალთაყვაზე 1922 წელს აქეთ ხიდი არ არის. ბორანს მგზავრი ათ შაურად გადაჰყავს, ხოლო ურემი, ეტლი ან ავტომანქანა — 8 მანეთად. ეს მეტად ძვირია. საჭიროა აიგოს ხიდი.

ელ. მექვაბიშვილი.

რაიონებში

ნაყოფიერად შრომობენ, კულტურულად ცხოვრობენ

აჩიგვარის ჩაის ფაბრიკას 15 სტახანოველი მუშა ჰყავს, ისინი სისტემატურად გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, ანა ზაიცევა ჩაის კრეფის ნორმას 285 პროცენტით ასრულებს, ფეოდორა ზურნაჩოვა 250-ით, მავრა იუშენკო — 262,4-ით, მარო შავშინა, რომელიც საჭკნობ საამქროში მუშაობს, ჩაის გაფენის ნორმას 284,2 პროცენტით ასრულებს. დამხარისხებელი საამქროს სტახანოველები ირა კეცოვა და ევდოკია დრაგანი ჩაის დახარისხების ნორმას 245-255 პროცენტით ასრულებენ.

ფაბრიკის დირექციამ სტახანოველ მუშებს კარგი ბინები მისცა. აჩიგვარის ჩაის ფაბრიკის სტახანოველები ნაყოფიერად მუშაობენ და შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ.

ვ. ბიგვავა

○

კოლმეურნეობის ენერგიული თავმჯდომარე

შხეფის (ცხაკაიას რაიონი) კიროვის სახელობის კოლმეურნეობა წინათ ძალიან ცუდად მუშაობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავმჯდომარედ კომკავშირელი კაკო ძიძიგური აირჩიეს, მდგომარეობა შეიცვალა. ეს კოლმეურნეობა რაიონში ახლა მოწინავედ ითვლება, წელს მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს. მოაწყვეს მეღორეობის და მეკამეჩეობის ფერმები, შეაკეთეს გზები, აშენებენ საკოლმეურნეო კლუბს, გაუმჯობესდა საბავშვო ბაგის მუშაობა.

ა. სახოკია

○

მოწინავე კოლმეურნეობა

ჩაისუბნის (ჩოხატაურის რაიონი) კოლმეურნეობა „სოციალიზმისაკენ" მოწინავედ ითვლება რაიონში. წელს მან ჩაის კრეფის გეგმა 100 პროცენტით შეასრულა. თამბაქოს აღების — 200-ით, სოიის ჩაბარების — 100-ით. კოლმეურნეობას აქვს 1 ჰექტარი მანდარინი და 1,5 ჰექტარი ტუნგო. ნარგავები სანიმუშოდ არის მოვლილი. კოლმეურნეობის სტახანოველები მავრა ბოლქვაძე, თამარ ბოლქვაძე, სერგო ჩხაქვაძე, შალვა მეგრელიშვილი, ლ. უნგიაძე, ნადია ბერაძე, ნადია ჩხაკვაძე, კოსტა სიხარულიძე 2-3-ჯერ გადამეტებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს.

ვ. უხგიაძე.

○

მოსავლიანობა გაიზარდა

ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლესიჭინის კოლმეურნეობა „მედგარში" წელს თვალსაჩინოდ გაიზარდა მოსავლიანობა. შარშან აქ შრომადღეზე კოლმეურნეებს 4 კილოგრამი სიმინდი ერგოთ, წელს კი 8 კილოგრამი. არიან კოლმეურნეობის ისეთი წევრები, რომლებმაც წელს 400-500 ფუთი სიმინდი მიიღეს. ძველად კი აქაურ გლეხს წლიურად 60 ფუთი სიმინდი ძლივს მოჰყავდა.

კ. დგებუაძე

○

სანიმუშო სანერგე

ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლესის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას აქვს ციტრუსთა სანერგე, რომელსაც კომკავშირელი ანია ჩხაიძე ხელმძღვანელობს. სანერგე საუკეთესოდ არის მოვლილი. წლევანდელი მუშაობის გეგმა აქ გადაჭარბებით შესრულდა. გახარებულია 1800 ძირი მანდარინი, 3000 ძირი ლიმონი, ამავე სანერგეში მოთავსებულია მანდარინისა და ლიმონის 700 ძირი ორწლიანი და 4.500 ძირი ერთწლიანი ნერგი. აშენდა საზამთრო ფარდული, რომელიც 5.100 ძირ ნერგს დაიტევს.

სანერგეში ისეთი პირობები იქმნება, რომ ერთი ძირი ნერგიც არ დაზიანდეს სიცივისა და ყინვისაგან.

ლიდა პატარაია.

○

ციტრუსების მოსავალს კარგი პირი უჩანს.

სუფსაში ციტრუსების მოსავალს კარგი პირი უჩანს. კონტრაქტაცია დროულად დამთავრდა. კოლმეურნეობის წევრი სამსონ კვაჭანტირაძე თავის საკარმიდამო ნაკვეთიდან 90.000 ცალ მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფს აბარებს სახელმწიფოს, კოლია კომე[illegible]ძე — 75.000-ს, ივანე კვერენჩხილაძე — 35.000-ს, კოწია ლომაძე 80.000-ს, ექვთიმე ნაკაშიძე — 80.000-ს. ასეთები აქ ბევრია.

პირველი გეგმით სუფსაში 4 მილიონი ცალი ციტრუსი უნდა დამზადებულიყო. ფაქტიურად, კი როგორც ეს მეორედ შემოწმებამ დაადასტურა, ციტრუსის მოსავალი 5 მილიონ ცალს აღწევს.

ციტრუსთა კრეფა მასობრივად გაჩაღდა.

გ. კეჟაუშაძე.

ახალგაზრდა კონსტრუქტორი

სტალინური კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ და საბჭოების მე-8 ყრილობისათვის სამზადისმა მოსწავლე ახალგაზრდობაში უდიდესი ენტუზიაზმი გამოიწვია. ახალგაზრდა გამომგონებლებმა და კონსტრუქტორებმა დაიწყეს ყრილობის საჩუქრად სხვადასხვა მოდელების დამზადება.

ერთ-ერთი ასეთი მოდელი (ტრამვაის პატარა ვაგონი) ყრილობისათვის საჩუქრად დაამზადა ტფილისის მე-43 სკოლის მოწაფემ ალექსანდრე ეტერევამ. მოდელი მომარაგებულია პატარა ელექტრომოტორით, რომელიც საშუალებას აძლევს ვაგონს იმოძრაოს ლიანდაგზე.

სურათზე: მე-43 სკოლის მოწაფე ალ. ეტერევი თავისი მოდელით.

ფოტო **სტოლიაროვისა** („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

ღირსეული სასჯელი

სოფ. ქვენატკოცის (ხაშურის რაიონი) საშუალო სკოლის დირექტორმა კ. გაბუნიამ, რომელიც ამავე დროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, უხეშად დაარღვია საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 15 აგვისტოს დადგენილება, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან მოსწავლეებს მისცა დადებითი დახასიათება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თუმცა ინდივიდუალურად, სისტემატურად არ აღერიცხავს მოსწავლეთა წარმატება და ყურადღებით არ შეუსწავლია თითოეული მოწაფე.

სასწავლო წლის მუშაობის შემაჯამებელი გამოცდების დროს შესრულებული წერითი შრომები არ გაასწორა და მეხუთე კლასის მოწაფეებს ა. ჩოჩიშვილს, მინდიაშვილს, თოთლაძეს, რომელთაც წერითი სამუშაო ცუდად შეასრულეს, მისცა საგამოცდო შეფასება „კარგი", ხოლო ამავე კლასის მოწაფის მესხიძის მიერ ცუდად შესრულებული შრომა შეაფასა „ფრიადად". ასევე „კარგი" შეფასება მისცა მეექვსე კლასის მოწაფის ჩუტკერაშვილის შრომას, რომელიც ცუდად არის შესრულებული. ამგვარად, დირექტორმა გაბუნიამ კლასიდან კლასში გადაიყვანა ქართულ ენასა და ლიტერატურაში სავსებით მოუმზადებელი მოწაფეები, რითაც დაამახინჯა პარტიისა და ხელისუფლების მითითება სწავლების ხარისხის ამაღლების შესახებ.

აღნიშნულის გამო განათლების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ვ. აფხაზის ბრძანებით, ქვენატკოცის საშუალო სკოლის დირექტორი კ. გაბუნია მოხსნილია დირექტორობიდან და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობიდან.

განათლების კომისარიატი აფრთხილებს საშუალო სკოლის დირექტორებს და ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, რომ კვლავად დაუშვებელია ამგვარი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი და მსგავსი მოვლენის განმეორების შემთხვევაში განსახკომი კიდევ უფრო სასტიკად დასჯის დამნაშავეებს.

◇

ბამბეულის კომბინატი ტფილისში

მოსკოვი, 15 ნოემბერი. (საქინ) სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის კომისარიატი იწყებს ბამბეულის კომბინატის მშენებლობას ტფილისში. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისადმი გაცემული ბრძანებით დადგენილია კომბინატის მშენებლობის დაწყების ვადა — 1938 წელი. ტექნიკური პროექტი უნდა დამთავრდეს 1937 წლის 1 აპრილისათვის, სამუშაო ნახაზები კი — 1937 წელს.

15 ახალი სასკოლო შენობა

ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ დაამუშავა და ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ახალი სასკოლო შენობების აგების გეგმა ტფილისში 1937 წლისათვის.

მომავალ წელს ტფილისში აგებული იქნება 15 ახალი სასკოლო შენობა 11.760 მოწაფის ადგილით. ლენინის რაიონში ააგებენ 1 შენობას ერთკომპლექტიანი სკოლისათვის და ერთ სასკოლო შენობას ორკომპლექტიანი სკოლისათვის. სტალინის რაიონში შენდება 4 სასკოლო შენობა, 2 ერთკომპლექტიანი და ორიც ორკომპლექტიანი. კიროვის რაიონში შენდება სამი ხუთკომპლექტიანი სასკოლო შენობა, ორჯონიკიძის რაიონში — ორი ორკომპლექტიანი შენობა და 26 კომუნარის რაიონში ოთხი ოთხკომპლექტიანი სასკოლო შენობა.

ტფილისის საბჭოს საარქიტექტურო-საგეგმო განყოფილებას დავალებული აქვს დაუყოვნებლივ შეამოწმოს ახალი სასკოლო შენობების ასაგებად გამოყოფილი მიწის ნაკვეთების შესაფერისობა ახალი სასკოლო შენობების ასაგებად. რაისაბჭოებს კი დაევალათ გაათავისუფლონ გამოყოფილი მიწის ნაკვეთები ახალი მშენებლობისათვის.

კინო

ახალი ფილმები

უახლოეს დღეებში ეკრანზე უშვებენ საქართველოს კინომრეწველობის [illegible] ორ ახალ ფილმს — „ჭაჯეთს" (რეჟისორი კ. მიქაბერიძე) და „დარიკოს" (რეჟისორი ს. დოლიძე).

ფილმ „ჭაჯეთის" სიუჟეტად აღებულია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის" ერთ-ერთი ეპიზოდი. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ თამარ ციციშვილი (ნესტანი), კ. ყარალაშვილი (ტარიელი) და ს. კანდელაკი (ჭაჯეთის მეფე).

ფილმი „დარიკო" ასახავს საქართველოს მშრომელი გლეხობის ბრძოლას მეფის მთავრობის შავი რეაქციის წინააღმდეგ და გაკეთებულია ქართველი კლასიკოსის ე. ნინოშვილის ნაწარმოების მიხედვით. ფილმის სიუჟეტურ საფუძვლად აღებულია მოთხრობები „სიმონა" და „მოსე მწერალი". მთავარ (დარიკოს) როლს ასრულებს მსახიობი-ქალი თ. ციციშვილი.

საბოლოო დამუშავებაშია რეჟისორ ნ. შენგელაიას ფილმი „ოქროს დაბლობი". ეს ფილმი ასახავს ბრძოლას კოლმეურნეთა ბედნიერი, შეძლებული ცხოვრებისათვის და ამახვილებს კოლმეურნეთა ყურადღებას სიფხიზლისაკენ კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს შიგნიდან გახრწნას კოლმეურნეობის მუშაობა. ფილმის მთავარ როლებში გამოდიან: ორდენოსანი მსახ. ვანაძე, მ. გელოვანი, ნ. ჩხეიძე და სხვები.

დამუშავების პროცესშია აგრეთვე ფილმი „ფრთოსანი მღებავი" (რეჟისორი ლ. ესაკია). ეს ფილმი გმირული კომედიის ჟანრისაა და გვიჩვენებს საბჭოთა ავიაციის მიღწევებს. ორივე ფილმის გამოშვება ეკრანზე გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დამლევს.

1937 წლის პირველ კვარტალში დამთავრდება ფილმი „არსენა" (ორდენოსანი რეჟისორი მ. ჭიაურელი) ლეგენდარული გმირის არსენა ოძელაშვილის შესახებ, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აიჯანყა გლეხობა თავადაზნაურობის წინააღმდეგ.

1937 წლისათვის დამთავრდება ახალი ფილმი „დაკარგული სამოთხე" (რეჟისორი რონდელი), რომელიც ასახავს დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის ყოფაცხოვრებას. ფილმი გაკეთებულია ქართველი კლასიკოსის დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა მიხედვით.

გარდა ამისა, დამუშავების პროცესშია ორი საბავშვო კინოსურათი — „პირველი დღე" (რეჟისორი თაყაიშვილი) და „ალაში" (რეჟისორი პერესტიანი).

ყველა ეს ფილმი ხმოვანია.

◇

ახალი ამბები

○ **ტფილისის მოსახლეობისათვის** უკეთესი მომსახურების გაწევის მიზნით, აბანოების ტრესტმა მე-7, მე-8 და მე-15 აბანოები გადაიყვანა 3-ცვლიან სამუშაო დღეზე.

○ **ტფილისის კომუნალური მუზეუმი** შეუდგა ექსპონატების დამზადებას ტფილისის საქალაქო მეურნეობის მიღწევათა დასახასიათებლად. ექსპონატები გაიგზავნება პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც 1937 წელს უნდა გაიხსნას.

○ **„გლავხლებოკომი"** ახლო ხანში ტფილისში ხსნის თავისი პროდუქციის გასასაღებელ საჩვენებელ მაღაზიას. მაღაზიისათვის ტფილისის საბჭომ გამოჰყო დარბაზი პლეხანოვის პროსპექტზე ახლახან აგებულ შენობაში.

○ **ტფილისის საბჭოს** დადგენილებით გაუქმებულია [illegible] აგურის ქარხნების სამმართველო და აგურის ქარხნები გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე.

400 წყვილი ფეხსაცმელი დღეში

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ქუთაისის ფეხსაცმლის ფაბრიკა მოწყობილია საუკეთესო ტიპის მანქანებით. ფაბრიკა დღეში უშვებს 400 წყვილ ფეხსაცმელს.

კერძოდ, ფაბრიკაში დადგმულია ლენინგრადის მანქანათმშენებლობის ტრესტის მიერ დამზადებული გადამჭიმავი მანქანა, რომელიც საათში ამზადებს 25 წყვილ ფეხსაცმელს. ეს მანქანა კარგად აითვისა ფაბრიკაში მომუშავე ოსტატმა სპეციალისტმა ამხ. შალამბერიძემ.



სურათზე: ოსტატი - სპეციალისტი ამხ. ი. შალამბერიძე მუშაობს გადამჭიმავ მანქანაზე.

ფოტო **ჩალაფეევისა** („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

„თეატრები ტფილისში"

დოკუმენტალური მონოგრაფია

მწერალი ვ. კუშელავა შეუდგა საინტერესო შრომას: იგი სწერს წიგნს „თეატრები ტფილისში". ეს იქნება მონოგრაფია, დაფუძნებული ტფილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ერევნის არქივების დოკუმენტალურ ცნობებზე. წიგნი მოიცავს პერიოდს მე-17 საუკუნიდან დღემდე. ასახული იქნება მუდმივი თეატრის ჩამოყალიბება 1845 წელს ქართული და რუსული წარმოდგენებით და იტალიური ოპერისა 1851 წელს, აგრეთვე მოყვანილი იქნება მასალები სათეატრო შენობების აგების შესახებ.

ტფილისი ყოველთვის ითვლებოდა თეატრალურ ქალაქად და მსახიობებს უყვარდათ აქ თამაში, ბევრი მათგანი, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა ტფილისის სცენაზე დაიწყეს, გადაიქცნენ გამოჩენილ მსახიობებად (ა. მესხიშვილი, ა. სუმბათაშვილი, ვ. [illegible], ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო და სხვ.) ამ მსახიობებს მონოგრაფიაში დაეთმობათ სათანადო ადგილი.

მონოგრაფიაში ყველაზე უფრო სრულად იქნება გაშუქებული ტფილისის საბჭოთა თეატრის ჩამოყალიბების, ზრდისა და აყვავების საკითხი.

წიგნს დართული ექნება მრავალი ილუსტრაცია, პორტრეტები და ფოტოსურათები დადგმებისა და სათეატრო შენობებისა. მონოგრაფია გამოვა 1937 წელს.

◇

ქრონიკა

— ტფილისის სახ. უნივერსიტეტში (აუდ. 86) დღეს, საღამოს 8 ს. პროფ. [illegible] წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „მითოლოგიურ-ისტორიული მოტივები და „ვეფხის-ტყაოსნის" მხატვრული სახეობანი".

— ჯაფარიძის სახელობის სანიმუშო ბიბლიოთეკა (ამის ქ. 2) 18 ნოემბერს მართავს ლექციას: „მიგუელ დე-სერვანტეს საავედრა და მისი დრო". ლექციას ქართულად წაიკითხავს ამხ. გ. გიორგაძე, რუსულად ამხ. მ. ბარისაველოვა. დასაწყისი ქართული ლექციისა საღ. 6 ს. რუსულის —8 ს.

ფეხბურთი

„დინამო"—„სახუნივერსიტეტი"

გრძელდება ქალაქის საშემოდგომო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. მორიგი შეხვედრა გაიმართება 18 ნოემბერს „დინამოს" სტადიონზე. თამაშობენ საზ-ბა „დინამოს" და სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გუნდები.

დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზე.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

17 ნოემბერს, პროპაგანდისტთა სკოლის (ქართულ ჯგუფები) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ პერიოდში". საღამოს 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ობიექტურ წინაპირობათა და პარტიის როლის შესახებ პროლეტარულ რევოლუციაში". საღამოს 8 საათზე.

პოლიტეკის კაბინეტი — კონსულტაცია: „კაპიტალისტური მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა". საღამოს 8 საათზე. ქართულ ენაზე.

აგიტატორის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე „ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლა მადრიდის დასაცავად". საღამოს 8 საათზე.

[illegible] კაბინეტი — კონსულტაცია პოლიტგანათლების წრეების პროპაგანდისტებისათვის „სოციალიზმი და კომუნიზმი" თემის მეთოდიკისა და დაგეგმვის საკითხზე". საღამოს 8 საათზე.

○

— **ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში** დღეს, საღამოს 7 საათზე პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის გაიმართება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: „[illegible]"; [illegible].

— **სტალინის რაიკომის პარტგანათლების სახლში** დღეს, საღამოს 7 საათზე, აგიტატორებისა და პარტკომკავშირული აქტივისათვის გაიმართება მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. მომხსენებელია ამხ. სულეიმანი.

— **კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი** იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში გაიმართება აგიტკოლექტივების (ქართული და რუსული ჯგუფები) მორიგი მეცადინეობა შემდეგ საკითხებზე: 1. ბრძოლა მადრიდთან და 2. პრეზიდენტის არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე ორგანიზაციების (არტელების მაღაზიების და სხვ.) ყველა აგიტატორის დასწრება სავალდებულოა.

— **კომკავშირის ტფილისის კომიტეტი** და მილიციის მთავარი სამმართველო 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზამთრო შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 182), იწვევს საქალაქო თათბირს ბავშვთა უმეთვალყურეობასთან ბრძოლის საკითხებზე. გამოწვეული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ვგმობ ჩემს უხეშ შეცდომებს

წერილი რედაქციის მიმართ*)

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ „კომუნისტში" ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას.

განსახკომის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის კონფერენციის [illegible] სხდომაზე (14 ნოემბერს) მეც მქონდა გამოსვლა. [illegible]

[illegible]

1. მე აღვნიშნე, რომ [illegible]

2. [illegible]

3. მე ვამბობდი: [illegible]

4. მე აღვნიშნე, რომ [illegible]

5. მე აღვნიშნე, რომ [illegible] განცხადება გულისხმობდა, თითქოს უფრო პედოლოგთა ასეთ კადრებს საკმაოდ არ იყენებენ ჩვენში.

ყველა ეს მეტად უხეში შეცდომა შეგნებული მაქვს და არ დავზოგავ ძალ-ღონეს მათი სწრაფად გამოსწორებისათვის ჩემს მუშაობაში.

პროფ. დ. უზნაძე

სურ. ლ. ბერიას სახელობის ძირეთის (აბდუშელის რაიონი) კოლმეურნეობის კულტურისა და დასვენების პარკი. ფოტო ტორის. (ავტორმა ამ სურათის ჰონორარი შეიტანა ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დახმარების ფონდში).

---

*) საშუალებას ვაძლევთ ავტორს გამოთქვას თავისი აზრი. რედ.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

17 ნოემბ.	პლატონ კრეჩეტი
18 ნოემბ.	შემოდგომის აზნაურები

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

17 ნოემბ. წარ. № 35	მზის დაბნელება საქართველოში
18 ნოემბ. წარ. № 36	შორეული

დასაწყისი 8 საათზე.

სახცირკი
ტელ. 3-11-44

დღეს, 17 ნოემბერს
დიდი საცირკო წარმ.
პოპულარ. მწვრთნელის კომიკ-ხუმარა
მ. ზოლლოს
პირველი გამოსვლა მისი ანთროპოზოოლოგიური ჯგუფით, რომელიც 400 სხვადასხვა ცხოველისაგან შესდგება.
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო 12-2 ს. და 5 ს-დან.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი შემთხვევითი შეხვედრა
დამკვრელი 6-45, 8 45, 10-45	ფერადი ფილმი გრუნია კორნაკოვა (სოლოვეი სოლოვუშკო)
კომკავშირელი 6-30,8,9-30,11	1-ლი სერია ხმ. სურათის მტრის ზურგს უკან
რ. ლუქსემბურგის 6-30,8,9-30,11	ახალი ხმოვანი ფილმი ბედნიერი ცხოვრება, არგონავტები (კოლხიდა)
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი კარლ ბრუნერი
კომინტერნი	ხმოვანი ფილმი მთავარი ქვა
ახალი ამბები	უახლესი ამბები მე-4, მე-5, მე-6 გამოშვება, საბჭ. საქართველო № 7.

„არტელი მეჯალფრული"

იმყოფება აჭარმრეწკავშირის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ქალაქ ბათომის ფინგანში 1933 წლის 31 მარტს № 12. საქმიანობის საგანი: სხვადასხვა საწარმოო საქმიანობა. საანგარიშსწორებო ანგარიში № 105-3 საბბანკის აჭარის განყოფილებაში. მისამართი: პუშკინის ქუჩა № 19.

თავმჯდომარე ოგანეზოვი.
მთ. ბუღალტერი ხაჭარიანი.
1049

ორჯონიკიძის რაიგანათლების განყოფილებამ
გახსნა ექსტერნატი
ვრული და ს/ს. საშ. სკოლის კურსის დასამთავრებლად — ართ. რუს. სექტორით.
პავლოვის ქ. № 10, მე-13 სკოლა. მიღება საღ. 6—8 ს. მეცადინეობა დაწყებულია, მიღება გრძელდება.
16555

აჭარმრეწკავშირის მარაგგასაღება

იმყოფება აჭარმრეწკავშირის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ბათომის ქალაქის ფინგანში ა-წ. 21 მაისს № 45. საქმიანობის საგანი: ამარაგებს აჭარმრეწკავშირის სისტემის არტელებს. საანგარიშსწორებო ანგარიში № 105-58 საბბანკის ბათომის განყოფილებაში. მისამართი: ბათომი, კამოს ქუჩა № 4.

თავმჯდომარე სიხარულიძე.
მთ. ბუღალტერი ხაჯერტოვა.
1075

არტელი „ისკრა"

იმყოფება აჭარის მრეწკავშირის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ბათომის ქალაქის ფინგანში ამა წლის 29 აპრილს № 26. საქმიანობის საგანი: საპარიკმახერო საქმე. საანგარიშსწორებო ანგარიში № 105-19 საბბანკის ბათომის განყოფილებაში. მისამართი: ტელმანის ქუჩა № 10.

თავმჯდომარე ჩხარტიშვილი.
მთ. ბუღალტ. დობორჯგინიძე.
1053

ჟურნალ-გაზეთების ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ჟურნალ-გაზეთებზე ხელისმოწერის დროს თვალყური ადევნეთ, რომ სწორად და გარკვევით აღნიშნონ ხელისმოწერის ქვითარში მისამართი, გვარი და ხელისმოწერის ვადა.

ეს ხელს შეუწყობს ჟურნალ-გაზეთების დარიგების გაუმჯობესებას.

თუ გამოწერილი ჟურნალ გაზეთის მოტანა შეფერხდა, ან სრულებით არ მოგიტანეს, უწინარეს ყოვლისა ეს აცნობეთ ფოსტის იმ დაწესებულებას, რომელიც მომსახურებას გიწევთ და მოითხოვეთ, რათა თქვენი განცხადება საჩივრის წიგნში შეიტანონ.

საჩივარი უნდა დააკმაყოფილონ 48 საათის განმავლობაში.

3-1 საერთო საგამომცემლო საკონტროლო პოსტი.

საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველო

აცხადებს, რომ 1937 წლ. სასანატორო საწოლების (აბასთუმანი, ბორჯომი, წაღვერი, ბ/ცემი, წყალტუბო, შამბოვი) იჯარით აღებაზე განაცხადების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 1936 წლ. 1 დეკემბერი. დაგვიანებით წარმოდგენილი განაცხადები არ იქნება დაკმაყოფილებული.

განაცხადები უნდა გამოიგზავნოს ტფილისში, ძნელაძის ქ. № 30, კურბიურო.

701-2 კურსამმართველო.

ექიმი ბ. მ. ფხალაძე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი და [illegible]). მარტის ქ. № 6, ვერის ბაზართან, აფთიაქის უკან ტელეფონი 3-31-12.
5—3 194

ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატის საგარეუბნო მეურნეობა

იმყოფება აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ბათომის ქალაქის ფინგანში ა-წ. 10 მაისს № 137. საქმიანობის საგანი: მ ბოსტნეობა მემინდვრეობა. საანგარიშსწორებო ანგარიში № 98-75 საბბანკის აჭარის განყოფილებაში.

მეურნეობის დირექტორი სიდ. შარაშიძე.
მთ. ბუღალტ. ინწკირველი.
1067

ადგილობრ. მრეწველობის სახკომისარიატის სასწავლო საწარმოო სახელოსნო

იმყოფება აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში. რეგისტრირებულია აჭარის ფინგანში ა-წ. 23 აპრილს № 124. საქმიანობის საგანი: ინდუსტრიული ტექნიკუმის სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება და ყოველგვარი რემონტი. საანგარიშსწორებო ანგარიში № 98-24 საბბანკის [illegible] ბათომი, მარქსის ქუჩა № 2.

თავმჯდომარე კოსტენკო.
1052 მთ. ბუღალტ. თოფურიძე.

წყალკანალტრესტის ნაკრები

ბალანსი

1936 წ. 1 იანვრისათვის

№№ რიგ.	აქტივი	ჯამი	№№ რიგ.	პასივი	ჯამი
1	ქონება	30.085.315—81	1	საწესდებო ფონდი	23.571.454—16
2	მასალები და მზანაწარმი	580.5 3—93	2	ფონდები და რეზერვები	8.290.299—56
3	დაუმთავრებელი წარმოება	59.967—71	3	გრძელვად. სესხები	4.656.918—42
4	ფულადი საშუალებანი	51.125—82	4	ანგარიშსწორება	192.925—76
5	მომავალი დროის ხარჯები	64.457—25	5	მოგება მიმდ. წლის	4.729.559—42
6	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	574.415—14			
7	ბრუნვიდან ამოღებული თანხები	4.944.130—75			
8	სავჭო დებიტორები	55.634-69			
9	კაპიტალ. დაბანდების გადახარჯვა	75 546—69			
	ბალანსი	36.441.157—32		ბალანსი	36.441.157—32

სამართვ. უფროსი **შარაშენიძე** მთ. ბუღალტერი: **შიხინოვა**

აღნიშნული ბალანსი განხილულია ცენტრალურ საბალანსო კომისიაში დამტკიცებულია ტფ. საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ოქმი № 17 § 82, და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.
1604

ბალანსი

საქ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატის „მკერავგასაღებისა" 1936 წლის იანვრისათვის და მისი შეფარდება 1935 წ. 1 იანვრის ბალანსის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წ. 1 იანვრისათვის	1936 წლ. 1 იანვრისათვის	პასივი	1935 წ. 1 იანვრისათვის	1936 წლ. 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობის			1. საწესდებო ფონდი	—	1.837.145—31
ძირითადი საშუალებანი მოქმედი	—	189.191—98	2. საამორტიზაციო ფონდი	—	36.560—93
2. საქონელი და მზანაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	—	5.134 858—50	3. სპეცფონდები	—	14.900—48
3. ფულადი საშუალებანი	—	245.784—69	4. რეზერვები	—	445.250—06
4. დებიტორები	—	247. 50—07	5. მოკლევადიანი (საბ. ბანკის) კრედ.	—	1.994.700——
5. მომავალი პერიოდის ხარჯები	—	12.288—40	6. კრედიტორები	—	1.736.908—44
			7. შედეგი: მოგება საანგარიშგებო წლისა	—	462.804—45
ბალანსი	—	6.529.273—64	ბალანსი	—	6.529.273—64

მმართველი **კობახიძე.** მთავარი ბუღალტერი **თუმანოვი**

ეს ბალანსი განხილულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისარიატის სპეცკომისიაში, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის კომისრის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1641 საქ. ადგ. მრეწ. სახ. კომ. მთ ბუღალტერი **ჯანელიძე.**

მისამართები: რედაქციის—ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სადივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40. მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 0—8545